ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 2 აგვისტო, 2017 №181 (7416) ფასი: 50 თეთრი

## „აფხაზეთში ქართველებს აღარ ლანძღავენ“



გვ.4

ჯემალ გამახარია: „იქ ჩვენთვის ხელსაყრელი პირობები იქმნება“

1 აგვისტოდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# „საქართველოზე ნებისმიერ ზეწოლას ამერიკა პასუხს გასცემს“



გვ.5

„კარგია, რომ პენსმა ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და გამოიყენა სიტყვა „ოკუპანტი“

## მაიკლ პენსი: „საქართველომ არაჩვეულებრივი წინსვლა განიცადა“

გვ.2

„ეს პროგრესი ნატოს წევრობის განაცხადს გაამყარებს“

## ნინო ბურჯანაძე: „ივანიშვილს არც მოსმენა სურს და არც ოპოზიცია სჭირდება“




გვ.3

„პუტინთან ამ ეტაპზე სალაპარაკო არაფერი მაქვს“

## შალვა შავგულიძე: „მაიკ პენსს ინფორმაცია „ციანიდის საქმეზეც“ მივაწოდე“

გვ.2





გვ.7

## ირაკლი ფირცხალავა: „ირაკლი მამალაძე თემურ თათარაშვილის საქმეშიც ფიგურირებს“

პროკურორი: „ციანიდის საქმის მთავარი მოწმე აგენტი არ არის“

## „ფერმერს მოტივაცია გაუჩნდება, მეღვინე კი ხარისხიან ყურძენს მიიღებს“



გვ.6

რას ამბობენ მეღვინეები რთველის სუბსიდირებაში ცვლილებებზე

ISSN 1987-9385

9 771987 938006



გვ.6

## „გადამამუშავებელი ქარხნები რომ იყოს, ატამს არავინ გადაყრიდა“

## კომერციული დავების განსახილველად საქალაქო სასამართლოში სპეციალური მიმართულება შეიქმნა



გვ.6




გვ.6

## „მარიამის არტ-კაფე“ ბახმაროში — 3.000 ლარით დაწყებული ბიზნესი

# შალვა შავგულიძე: „მაიკ პენსს ინფორმაცია „ციანიდის საქმეზეც“ მივაწოდე“

ნათია ხურცილავა

**გუშინ, 1 აგვისტოს, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტმა ოფიციალური ვიზიტი ოპოზიციის ოთხ ლიდერთან შეხვედრით დაიწყო. მაიკ პენსმა სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ შეხვედრა გამართა ნაციონალური მოძრაობის ლიდერ ნიკა მელიასთან, „ევროპული საქართველოს“ ხელმძღვანელ დავით ბაქრაძესთან, „შენების მოძრაობის“ ლიდერ დავით უსუფაშვილთან და თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე შალვა შავგულიძესთან. „ახალი თაობა“ შალვა შავგულიძესთან გთავაზობთ ინტერვიუს.**

***– ბატონო შალვა, ძალიან ბევრი ითქვა, თუ როგორ მოხდა ოპოზიციის ლიდერების შერჩევა ამერიკის ვიცეპრეზიდენტთან შეხვედრისთვის. თქვენგან მაინტერესებს, რეალურად როგორ მოხდა?***

– გადაწყვეტილება ამერიკის მხარემ მიიღო, არ ვიცი, ვინ მიიღო კონკრეტულად. პირადად მე ამერიკის საელჩო დამიკავშირდა და მითხრეს, რომ ამერიკის ვიცეპრეზიდენტთან ოთხეულის ფორმატში მოხდებოდა შეხვედრა.



***– რა ინფორმაცია მიაწოდეთ, რა აქცენტები გააკეთეთ და რამდენი ხანი გაგრძელდა შეხვედრა?***

– ფორმატით გათვალისწინებული იყო ხუთ-ხუთი წუთი თითოეული ჩვენგანისთვის, თუმცა შეხვედრა ნახევარი საათი გაგრძელდა.

მე მივიჩნიე საჭიროდ, რომ ეს მცირედი დრო მაქსიმალურად ეფექტურად გამომეყენებინა შიდაპრობლემურ საკითხებზე სასაუბროდ. ყურადღება იმ პრობლემებზე გავამახვილე, რომლებიც ხელს უშლის ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას, რომელიც ასევე შეიძლება ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე შემაფერხებელი იყოს.

აღვნიშნე, რომ ადგილი აქვს ძალაუფლების გაუმართლებლად ჭარბ კონცენტრაციას მმართველი პოლიტიკური ძალის ხელში, რაც საბოლოოდ გამოიხატა ინსტიტუციური მმართველობის ფაქტობრივ მოშლაში. მმართველი ძალა სრულ კონტროლს ახორციელებს ისეთ სახელმწიფო ინსტიტუციებზე, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს და მაგალითად მოვიყვანე სასამართლო ხელისუფლება, პროკურატურა, სამართლადამცავი სისტემა.

მე ვუთხარი ვიცეპრეზიდენტს, რომ ქვეყანაში მმართველი ძალა აკონტროლებს ყველა ინსტიტუციას, იქვე დავამატე, რომ მის ხელშია პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა, ეს კი, ცხადია, არღვევს სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისა და მოწყობის საფუძვლებს.

ასევე ყურადღება გავამახვილე ხელისუფლების სწრაფვაზე, რომ მედია გააკონტროლოს, რისთვისაც იყენებს მის მიერ მართულ სასამართლოს ხელისუფლებას და ეს კარგად გამოჩნდა რუსთავი 2-ის მაგალითზე.

***– კონკრეტულ სასამართლო საქმეებზე ისაუბრეთ?***

– მე ვიცეპრეზიდენტს ვუთხარი, რომ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ცდილობს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, საკუთარი გავლენა გაავრცელოს ისეთ ავტორიტეტულ ინსტიტუციაზე, როგორიც არის ეკლესია. ამის თქმის საფუძველს კი იძლევა ის გაუმართლებლად არაგამჭვირვალე სასამართლო პროცესი, რომელიც მამა გიორგის საქმეს ეხება.

***– მაიკ პენსს „ციანიდის საქმეზე“ მიაწოდეთ ინფორმაცია?***

– დიახ, მე აღვნიშნე ეს საქმე, ვინაიდან ამ საქმის სასამართლო პროცესები გაუმართლებლად გაუმჭვირვალედ და დახურულ ფორმატში მიმდინარეობს. სამართლებრივად ეს იმდენად გაუმართლებელი და აუხსნელია, რომ საჭიროდ მივიჩნიე ამაზე საუბარი, თანაც ამ საქმეს თან სდევს პატრიარქის დაცვის სამსახურის სრული საკადრო ცვლილება. ამ საქმემ შეიძლება ძალიან სერიოზული დაპირისპირება გამოიწვიოს ეკლესიის შიგნით, ამიტომ მოვახდინე აქცენტირება ამ თემაზე.

ეს ყოველივე აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ ამ შემთხვევაშიც მართვადი სასამართლოს გამოყენებით, „ქართული ოცნება“ ცდილობს, თავისი გავლენა გაავრცელოს ეკლესიაზეც.

კიდევ ერთი, სახელმწიფოს სეკულარულობის ეჭვის ქვეშ დაყენებით, „ქართული ოცნება“ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას აფერხებს, რაც შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

ძირითად პრობლემად კი არაფორმალური მმართველობა დავასახელე. ესოდენ მაღალი ძალაუფლების კონცენტრაციას, რომელიც აქვს მმართველ პარტიას ქვეყანაში, ემატება ის გარემოება, რასაც ჰქვია სრულად დაქვემდებარება მისი ფაქტობრივი ლიდერის, ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ნებისადმი. ბიძინა ივანიშვილს რომ ჰქონდეს თუნდაც პარტიულ-პოლიტიკური სტატუსი და შესაბამისი პასუხისმგებლობა, ესოდენ დიდ საშიშროებას არ შექმნიდა და ასე ძვირად არ დაუჯდებოდა ქვეყანას.

***– საკონსტიტუციო ცვლილებებზე თუ იყო საუბარი?***

– რა თქმა უნდა. საკონსტიტუციო რეფორმაც ძალაუფლების კიდევ უფრო მეტად კონცენტრაციაზეა მიმართული, რადგან ის ერთპიროვნულად არის განხორციელებული ნულოვანი კონსენსუსის პირობებში.

***– ასეთი მაღალი თანამდებობის პირები, როდესაც ოპოზიციას ხვდებიან, ძირითადად ინფორმაციას იღებენ, მაგრამ, თუ იყო პენსის მხრიდან მინიშნება მაინც, რომ ამ საკითხებზე ხელისუფლებასთან ისაუბრებდა?***

– არა, რა თქმა უნდა, მაგრამ მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია თავად ის ფაქტი, რომ ამერიკის ვიცეპრეზიდენტი ჯერ შეხვდა ოპოზიციის წარმომადგენლებს და შემდეგ ოფიციალური შეხვედრები ხელისუფლებასთან გამართა. ეს ნიშნავს იმას, რომ ამერიკის მხარდაჭერა, ამერიკის მეგობრული დამოკიდებულება არის საქართველოს მიმართ, მე არ შემეშინდება ამ სიტყვის – ზრუნვა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის. მაიკ პენსმა ჯერ მოისმინა სწორედ ოპოზიციის კრიტიკული შეხედულება და შემდეგ – ხელისუფლების. ეს არის საქმიანი და სწორი მიდგომა იმ ქვეყნისა, რომელსაც მართლაც სურს, დაეხმაროს მეორე ქვეყანას დემოკრატიულ განვითარებაში.

***– თუ იყო რაიმე სახის მესიჯი, რომელიც ვიცეპრეზიდენტისგან მოდიოდა?***

– მან პირდაპირ აღნიშნა, რომ მეტად საყურადღებო, მეტად საჭირო იყო ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენგან მიიღო, აქვე აღნიშნა დემოკრატიული რეფორმების აუცილებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

***– სხვა ლიდერებმა რაზე გაამახვილეს ყურადღება?***

– სხვადასხვა აქცენტი იყო. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა ნიკა მელიამ დააყენა მიხეილ სააკაშვილის საკითხი, ხაზი გაუსვა მის ბრძოლას კორუფციასთან როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში და სწორედ ამიტომ უპირისპირდებიან ოლიგარქიული რეჟიმებიო.

დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ექნება დიდი მნიშვნელობა ჩვენი დემოკრატიული განვითარების გზაზე.

დავით ბაქრაძემ ასევე შიდა დემოკრატიაზე ისაუბრა, ხაზი გაუსვა, რომ „ევროპული საქართველო“ იქნება პრინციპული და კონსტრუქციული ოპოზიცია ყოველთვის და მიმართული ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე.

რა თქმა უნდა, ყველას მხრიდან აღნიშნული იყო საგარეო საფრთხეების შესახებ, რომ „თბილისი მარიოტიდან“, სადაც ახლა ვსხედვართ, რამდენიმე კილომეტრში რუსეთის საოკუპაციო ჯარები დგანან.

ვიცეპრეზიდენტმა გვითხრა, რომ საქართველო მათ ღირსეულ და სტრატეგიულ პარტნიორად მიაჩნიათ, მეგობარ ქვეყნად თვლიან და აპირებენ საქმიან დახმარებას, ურთიერთობის ამ რეჟიმში გაგრძელებას როგორც საგარეო ურთიერთობის დაცულობის თვალსაზრისით, ისე ქვეყნის შიგნით დემოკრატიის განვითარების კუთხით.

***– თუ იყო მინიშნება მაინც, რომ არაოფიციალურად შეიძლება, ივანიშვილს შეხვდეს?***

– არა, ამგვარი არაფერი ყოფილა.

# მაიკლ პენსი: „საქართველომ არაჩვეულებრივი წინსვლა განიცადა“

## „ეს პროგრესი ნატოს წევრობის განაცხადს გაამყარებს“

გულიკო ბალაძე

**აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა საქართველო დატოვა, წასვლის წინ კი საიმედო განცხადებები გააკეთა, დაგმო რუსული ოკუპაცია და გვითხრა, რომ მიღწეული პროგრესით შეგვიძლია, ნატოს წევრობაზე თამამად გავაკეთოთ განაცხადი.**

– ათასწლეულების განმავლობაში ვერავინ წაგართვათ თვითმყოფადობა. ქართველი ხალხის ნებისყოფამ და კულტურამ დროის გამოცდას გაუძლო, – განაცხადა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა.

მისი თქმით, საბჭოთა კავშირი ცდილობდა წაეშალა საქართველოს ისტორია. მისივე თქმით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ მეგობრობის ხელი გაუწოდა თავისუფალი სამყაროს ქვეყნებსა და ამერიკას და ამერიკამ იმავეთი უპასუხა.

– არცთუ ისე დიდი ხნის წინ საქართველო საბჭოთა კავშირის საპყრობილეში იყო მოქცეული, კომუნისტური რეჟიმი იმის პერსონიფიკაციას ახდენდა, რასაც თავისუფალი სამყარო არ იღებს. საბჭოთა კავშირი ცდილობდა, წაეშალა თქვენი ისტორია, ამოეშალა და ხელეყო თქვენი თვითმყოფადობა. საბჭოთა კავშირის მსხვრევის შემდეგ საქართველომ აღიდგინა თავისუფლება, თქვენ ევროპის თავისუფალ ერებსა და ამერიკას მეგობრობის ხელი გაუწოდეთ და ამერიკამაც იმავეთი გიპასუხათ, – განაცხადა მაიკ პენსმა „ღირსეული პარტნიორი 2017“ მონაწილე ქართველი და ამერიკელი სამხედროების წინაშე სიტყვით გამოსვლისას.

სამხედროებს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმაც მიმართა. მისი თქმით, საქართველოს საუკუნეების განმავლობაში არ დაგვიკარგავს იმედი და უდიდეს იმპერიებს გავუძელით.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს საერთო მიზნები აქვს და საერთო გმირებიც ჰყავს.

– სამხედრო მოსამსახურეებო, მოხარული ვარ, რომ ქართული და ამერიკული შეიარაღებული ძალები გვერდიგვერდ იმყოფებიან ქართულ მიწაზე, გვერდიგვერდ დგახართ ჩვენი უსაფრთხოების, თავისუფლებისთვის, ჩვენი ხალხის თავისუფლებისთვის. სწორედ ამიტომ ხართ ღირსეულები და ეს უმნიშვნელოვანესია თქვენი საერთო კეთილდღეობისთვის.

ჩვენ საუკუნეების განმავლობაში არ დაგვიკარგავს იმედი და უდიდეს იმპერიებს გავუძელით. თავისუფლება საქართველოს უდიდესი ღირებულებაა, ისევე, როგორც ამერიკისთვის. სწრაფვა თავისუფლებისკენ აერთიანებს ჩვენს ქვეყნებს, ჩვენ ბუნებრივი პარტნიორები ვართ, რომლებსაც ერთიანი ღირებულებები აერთიანებს. ყველა ადამიანი დაბადებულია თანასწორი, მინიჭებული აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ ლტოლვის თავისუფლებები.

ამ სულისკვეთებით შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები, მსგავსი სულისკვეთებით საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და აშენებს დემოკრატიულ ქვეყანას. ამ გზაზე ამერიკელი ხალხისა და მთავრობის დახმარება გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. აქ ჩვენ საერთო მიზნები, საერთო გმირებიც კი გვყავს, როგორებიც არიან ჯორჯ ბალანჩინი, ალექსანადრე ქართველი და გენერალი ჯონ მალხაზ შალიკაშვილი, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა საქართველოს მიღწევებზეც გაამახვილა ყურადღება.

– ამ 5 წლის განმავლობაში საქართველოს განიცადა არაჩვეულებრივი წინსვლა და ეს მნიშვნელოვანი პროგრესი გაამყარებს ნატოს წევრობის განაცხადს, – აღნიშნა პენსმა.

საქართველოდან წასვლამდე ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტმა ტვიტერის საკუთარ გვერდზე კიდევ ერთი განცხადება გამოაქვეყნა.



– დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვიღებთ ვალდებულებას ქართველი ხალხის უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და დამოუკიდებლობის საერთო საქმის მიმართ. როდესაც ჩვენ აქ ვდგავართ, 40 კილომეტრში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სამხრეთ ოსეთში რუსული ტანკები დგას, დღეს რუსეთი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების ერთი მეხუთედის ოკუპაციას. აშშ მკაცრად გმობს რუსეთის მიერ საქართველოს მიწის ოკუპაციას, – აცხადებს პენსი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნინო ბურჯანაძე: „ივანიშვილს არც მოსმენა სურს და არც ოპოზიცია სჭირდება“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არ მიიწვიეს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტთან შეხვედრაზე, აპირებს თუ არა შეხვედრას პუტინთან, რატომ გიძნობდა მასთან დისკომფორტს სააკაშვილი, რატომ არ ისურვა მასთან თანამშრომლობა ივანიშვილმა, უნდა გადამდგარიყო თუ არა 2007 წლის 7 ნოემბერს? – ამ თემებზე „ახალ თაობას" დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს ლიდერი ნინო ბურჯანაძე ესაუბრება.**

***– 2008 წლის წინ ამერიკის ვიცეპრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა, როდესაც საქართველოში ჩამოვიდა, განაცხადა: მე ჩამოვედი აქ შეერთებული შტატებიდან ცალსახა, მარტივი გზავნილით. ჩვენ შეერთებულ შტატებში ვდგავართ თქვენ გვერდით, თქვენს გზაზე, უსაფრთხო, თავისუფალი, დემოკრატიული და ერთიანი საქართველოსკენ. ზუსტად იმავე გზავნილით ჩამოდის 8 წლის შემდეგ ამერიკის ვიცეპრეზიდენტი მაიკ პენსი: ამერიკის პრეზიდენტმა მომავლინა მარტივი გზავნილით: ჩვენ თქვენთან ვართ. საინტერესო იქნება, თქვენ რა პარალელს გააკეთებდით? შეაფასეთ 2 ვიცეპრეზიდენტი, მათი ერთი და იგივე გზავნილი და შედეგები.***

– 2008 წელსაც ზუსტად იგივე დანაპირები იყო, ოღონდ იმის შემდეგ ჩვენი ტერიტორიები კიდევ უფრო დაპატარავდა, ყოველდღიურად მავთულხლართები გადმოდის, ოღონდ ამაზე ამერიკის შეერთებულ შტატებს არანაირი ეფექტური და ქმედითი რეაქცია არ ჰქონია.

როდესაც ბაიდენი ჩამოვიდა, განსხვავებით დღევანდელი ვიზიტისაგან, ბატონი ბაიდენი შეხვდა ოპოზიციის წარმომადგენლებს, მათ შორის იმ ოპოზიციასაც, რომელიც შეიძლება მის და ამერიკის მოსაზრებებს არ იზიარებდა. ახლა ეს ფორმატი, რომელიც გააკეთეს, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ამერიკას, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოს.

რაც შეეხება დაპირებებს, ძალიან მწარედ გამეცინა, როდესაც ბატონი ვიცეპრეზიდენტის მესიჯი მოვისმინე და წავიკითხე, რომ მხოლოდ დიალოგშია გამოსავალი და, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან ძალიან რთულია ურთიერთობები, ყველა პრობლემა მხოლოდ დიალოგით შეიძლება მოგვარდეს. მე არ ვიცი ახლა, ტვინდახურულ ქართველებს იმ ნაწილს, რომელსაც ტვინი დაკეტილი აქვს და რუსეთთან დიალოგი წარმოუდგენელი ჰგონიათ, პენსის სიტყვები მაინც თუ გაუხსნის ტვინს. ყოველ შემთხვევაში, ვიცეპრეზიდენტმა ზუსტად იგივე თქვა, რასაც მე წლების განმავლობაში ვიმეორებდი.

გარდა ამისა, ჩვენ ძალიან საინტერესო ერთი მესიჯი მივიღეთ კიდევ, როდესაც ბატონ ვიცეპრეზიდენტს „ნიუ იორკ თაიმსის“ ჟურნალისტმა პირდაპირ ჰკითხა, რომ არის თუ არა ამერიკა მზად, დაიცვას საქართველო რუსეთის აგრესიისაგან, პენსმა საკმაოდ ხაზგასმით თქვა, რომ ამერიკა ერთგულია ნატოს წესდების მეხუთე მუხლის, სადაც წერია, რომ ამერიკა და ნატო იცავს იმ სახელმწიფოებს სამხედრო ძალით რამე ტიპის აგრესიისგან, რომლებიც არიან ნატოს წევრები.

***– რაში დასჭირდა აშშ-ს ასეთი მაღალი რანგის ვიზიტი, თუ საქართველოს, განცხადებების გარდა, არ დაიცავს რუსული აგრესიისგან, არ დაგვეხმარება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში, რა საჭიროა ასეთი ხმაურიანი ვიზიტები და იმედების გაჩენა, რომ გვეშველება?***

– საქართველო აშშ-ისთვის არის საინტერესო, მე ძალიან გამიკვირდა უსუფაშვილის განცხადება, რომ ამერიკისთვის საქართველო იქნება მეორე. ნუ ვიტყუებთ თავს, საქართველო ამერიკისთვის მეორე კი არა, 22-ც ვერ იქნება იმ პრიორიტეტებში, რომლებიც აქვს შეერთებულ შტატებს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკისთვის საქართველო არ არის მნიშვნელოვანი. საქართველო არის რუსეთის მეზობელი ქვეყანა და აქ ამერიკის აქტიურობა და საქართველოს რუსეთის საწინააღმდეგოდ განწყობა ამერიკისთვის არის მნიშვნელოვანი.

მე არ ვიცი, ბატონი პენსი მიეკუთვნება თუ არა იმ წრეებს, რომლებსაც უნდათ, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენონ, მაგრამ ამერიკაში ნამდვილად არიან წრეები, მაგალითად, მაკეინი და ნეოკონსერვატორები, რომლებიც დღეს სიამოვნებით გააჩაღებდნენ ომს.

არ არის გამორიცხული, დღეს რომ სააკაშვილი ყოფილიყო აქ ხელისუფლებაში, ჩვენ უკვე ომის ალში ვყოფილიყავით გახვეული. ამერიკის ისტორიაში პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ამერიკის პრეზიდენტი ცდილობს, რუსეთთან ურთიერთობა დაალაგოს და მას ეს ძალიან ძვირად უჯდება. ძალიან ძვირად დაუჯდა ეს კენედის, ძალიან ძვირად დაუჯდა ეს ნიქსონს. ამერიკის გარკვეული წრეები საქართველოს მუდმივად რუსეთის გასაღიზიანებლად გამოიყენებენ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი.

***– რატომ არ იყავით მიწვეული მაიკ პენსთან შეხვედრაზე? კონკრეტულად ვინ არის წინააღმდეგი, რომ ასეთი მაღალი რანგის დელეგაციასთან შეხვედრაში თქვენც იყოთ ჩართული?***

## „პუტინთან ამ ეტაპზე სალაპარაკო არაფერი მაქვს“



## როგორ გადაურჩა ბათუმი დაბომბვას

– მე განსაკუთრებულად ამით არ დავინტერესებულვარ. ნაციონალური მოძრაობისა და სააკაშვილის ხელისუფლებაში მე პირდაპირ მეუბნებოდნენ ელჩები, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან პირდაპირი მოთხოვნა იყო, არათუ მაღალი რანგის შეხვედრებზე არ დავეძახეთ, არამედ საელჩოების მიღებებზეც არ დავეპატიჟებინეთ. ხელისუფლების მხრიდან ასეთი ტიპის მიმართვამ საელჩოებისა და ელჩების შოკი გამოიწვია.

ხელისუფლება ძალიან აქტიურად მუშაობდა, მაგალითად, ჩემი ელექტრონული ფოსტა დაბლოკა, თითქოს ჩემი ფოსტით წარმოუდგენელი შინაარსის მეილები იგზავნებოდა სხვადასხვა მისამართზე და მე საერთოდ ვერ ვიღებდი იმეილებს. სრულიად შემთხვევით დავაფიქსირე ეს და მაშინდელი ბულგარეთის ელჩიც შემთხვევით აღმოჩნდა ამ სკანდალში, როდესაც მისი იმეილიც დაბლოკეს და მისი სახელით აგზავნიდნენ მეილებს. მაშინ ეს ძალიან სერიოზული ფაქტი გახლდათ და ამაში, როგორც ჩანს, ამერიკის საელჩომ დიდი როლი ითამაშა. დღეს არ ვიცი, რა მოხდა, არ გამოვრიცხავ, რომ იგივე მეორდებოდეს ამ ხელისუფლების მხრიდან.

***– თქვენ რომ ამ შეხვედრას დასწრებოდით, რა შეკითხვა გექნებოდათ პენსის მიმართ?***

– მე დავსვამდი შეკითხვას: აქვს თუ არა საქართველოს შანსი, იმ ტერიტორიებით, რომლებიც 1991 წელს არის გაეროს მიერ აღიარებული, საქართველოს საზღვრებში რუსეთის ორი ბაზით, მიგვიღონ ნატოში. ბევრი სხვა კითხვაც მექნებოდა, რომლებზეც პასუხი ძნელი გასაცემი იქნებოდა. ამიტომაც არ უნდა ხელისუფლებასა და ამერიკის საელჩოს, ვიყო ასეთი ტიპის შეხვედრებზე, რადგან მე ვლაპარაკობ იმას, რაც არის რეალობა და ალბათ გაუჭირდებოდა ბატონ პენსს ჩემს შეკითხვაზე პასუხის გაცემა.

***– საქართველოში ტარდება სამხედრო წვრთნები „ღირსეული პარტნიორი 2017“. რას უნდა ველოდოთ ამის შემდეგ? ამ წვრთნებთან დაკავშირებით უამრავი ვერსია მოვისმინეთ.***

– გაფაციცებით ვადევნებდი თვალყურს ამ დღეებში რუსეთის საინფორმაციო საშუალებებს, ძალიან შეშფოთებული ვარ – საერთოდ არ არის რუსულ საინფორმაციო სივრცეებში ამ თემასთან დაკავშირებით ინფორმაცია. ეს არ ნიშნავს არაფერს კარგს. მე ველოდები, რომ ჩვენ შეიძლება ძალიან ძვირად დაგვიჯდეს რუსული სამხედრო ბაზის ცხვირწინ ამერიკული ტანკის სეირნობა. ძალიან სახიფათო თამაშია და მე ვსვამ ერთ კითხვას: დავანებოთ პოლიტიკასა და პოლიტიკოსებს თავი, ერთი წამით ვინმემ დაუშვა ის ალბათობა, რომ შეიძლება რომელიღაცა რუს ტანკისტს გადაუბრუნდა თავში რაღაცა, როდესაც 400 მეტრში დაინახა ამერიკული ტანკი, დაქოქა თავისი ტანკი და დააყენა ტრასაზე ან დაუპირისპირდა იქ მიმავალ ტანკებს. ვინმემ იფიქრა საერთოდ, რომ ასეთი ინციდენტი შეიძლებოდა მომხდარიყო?

ჩვენ რა, გვინდა, რომ მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს ჩვენს ტერიტორიაზე? ან რა გვინდა, რომ ამერიკამ საქართველოს გამო საქართველოში რუსეთს ომი დაუწყოს? და საქართველოსგან რა დარჩება მერე, ამაზე ვინმეს უფიქრია საერთოდ? აქ რომ ორი არმია შეეჯახოს, რუსული და ამერიკული, საქართველო ხომ აღიგვება პირისაგან მიწისა? რუსეთი და ამერიკა დარჩება. არცერთს შეეხება რამე და ამერიკას ხომ მით უმეტეს არაფერი შეეხება.

***– რამდენიმე დღის წინ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ თქვენ აპირებთ, შეხვდეთ ვლადიმერ პუტინს. მართლა იგეგმება ასეთი შეხვედრა?***

– ამ მომენტისთვის ნამდვილად არ მაქვს დაგეგმილი და, რომ შევხვდე, რა ვუთხრა? რატომ არ ელაპარაკება მას საქართველოს ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ მან სამჯერ თქვა, რომ მზად არის, საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას შეხვდეს, რატომ არ იღებს საქართველოს ხელისუფლება ხმას, როდესაც საზღვარი გადმოდის ყოველდღიურად, რატომ მოხდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ და ზუსტად ვიცი, რომ ჩვენ 12%-მა მოსახლეობის მოგვცა ხმა და ბიძინა ივანიშვილმა სპეციალური ბრძანებით დაიყვანა 3%-მდე.

ეს რუსეთშიც იციან, ამერიკაშიც, ეუთოშიც და ყველგან, კარგად გამოჩნდა, თუნდაც ოდირის დასკვნაში, მაგრამ რა ავუხსნა მე რუსეთის პრეზიდენტს, როცა დავიწყებ ლაპარაკს, ვთქვათ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, რომ 10-12%-ზე მეტმა ქართველმა მოსახლეობამ რატომ არ მისცა ხმა იმ ძალას, რომელიც ამბობდა, რომ რუსული სამხედრო ძალები უნდა გავიდეს საქართველოს ტერიტორიიდან, რომ საქართველო უბლოკო სტატუსის მატარებელი უნდა იყოს, რომლის მთავარი პრიორიტეტი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაა, ან თუნდაც რატომ არ ამოიღო ხმა იმ 8%-მა, რომლის ხმებიც ჩამოგვაკლო ბიძინა ივანიშვილმა.

***– თქვენ რუსეთის პრეზიდენტს არაერთხელ შეხვედრიხართ. მაშინ გქონდათ სათქმელი?***

– მე მას ვხვდებოდი, როდესაც ვაპირებდი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, როდესაც იყო საპრეზიდენტო არჩევნები. მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ მე მას აუცილებლად შევხვდები. დარწმუნებული ვარ ამაში, იმიტომ, რომ ამას აზრი ექნება. მაშინ იყო საპრეზიდენტო არჩევნები. პირველ ყოვლისა, მე ნამდვილად მჭირდებოდა ის, რომ მე მცოდნოდა. რისი დაპირება შემიძლია საქართველოს მოსახლეობისთვის. რისთვის არის რუსეთი მზად, რისთვის არის რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება მზად, რომ მე შესაბამისი დაპირებები გამეცა საქართველოს მოსახლეობისათვის და მე სწორედ ამ შეხვედრების მერე აბსოლუტურად დარწმუნებული ჩამოვედი მოსკოვიდან.

ვლადიმერ პუტინთან არაერთი საუბრის შემდეგ, როდესაც მე განვაცხადე, რომ არსებობს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შანსი, მან გააკეთა არაერთი განცხადება, რაც დიპლომატიურ ენაზე ნიშნავდა იმას, რომ ამ პრობლემის მოგვარების შანსი არსებობს, მაგრამ ეს არ გაიგონა არც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა და არც – პოლიტიკოსებმა. არათუ არ გაიგონეს, არამედ ყურები და მედიასაშუალებები დაიხშვეს, რომ ეს განცხადებები არ გაკეთებულიყო.

ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ – როდესაც იქნება საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც სხვა რეალობა იქნება, მე, ბუნებრივია, ვლადიმერ პუტინს შევხვდები, მაგრამ დღეს ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ.

***– პოლიტიკურ სპექტრშიც და საზოგადოებაშიც თქვენ მოგიაზრებენ, როგორც პრორუსულ ძალას, როგორც მოსკოვის დასაყრდენს საქართველოში. გიშლით თუ არა ეს იმიჯი ხელს პოლიტიკურ ბრძოლაში?***

– ეს იმიჯი შექმნა მიხეილ სააკაშვილმა. მისთვის ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, რომ ბურჯანაძისთვის ხელი შეეშალა და ამ მიმართულებით ისტერია შექმნა ქვეყანაში. ბიძინა ივანიშვილის ამ ხელისუფლებამაც ეს გააგრძელა. სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ მაწუხებს, რადგან მე თქვენ ვერ დამისახელებთ ვერცერთ უფრო ქართულ ძალას, ვიდრე ვართ მე და ჩემი თანაგუნდელები.

ჩვენი ყველა განცხადება და ქმედება ამის დასტურია. არცერთ პოლიტიკოსსა და არცერთ ეგრეთ წოდებულ პროდასავლურ პოლიტიკურ ძალას ხმა არ ამოუღია, როდესაც რუსებმა მამისონის უღელტეხილი დაიკავეს. ერთადერთი მე ვიყავი, რომელიც განცხადებებს ვაკეთებდი და მოვითხოვდი კატეგორიულად, რომ სასწრაფოდ გაეგზავნათ მესაზღვრეები მამისონზე, რომ არ დაგვეკარგა მამისონის უღელტეხილი, მაგრამ მაშინ სააკაშვილის ხელისუფლებამ პროვოკატორი და მატყუარა მეძახა, ოღონდ 2 თვეში აღმოჩნდა, რომ მამისონის უღელტეხილზე ოსური და რუსული დროშები ფრიალებდა.

ეს გადაყლაპა ქართველმა საზოგადოებამ, ხმა არ ამოუღიათ ამაზე, არავის გამოუძიებია ის, რასაც მე ყველაზე კატეგორიულად ვითხოვდი ყოველთვის. რატომ ჩააბარეს იარაღით გატენილი კოდორის ხეობა რუსებს ისე, რომ ერთი ტყვია არ გასროლილა და ვინ არის პროქართული და პრორუსული, მე თუ ის ხელისუფლება, რომელმაც კოდორის ხეობა უბრძოლველად და ერთი ტყვიის გასროლის გარეშე ჩააბარა რუსებს, ხეობა, რომელიც არასოდეს ყოფილა ვინმეს ხელში, გარდა საქართველოს ხელისუფლებისა?!

არავისთან ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ მე, ნინო ბურჯანაძე, ჩემი ქვეყნის ერთგული ვარ და თავის გაწირვამდე შემიძლია ვიბრძოლო ჩვენი ტერიტორიების დასაბრუნებლად. ბევრი ადამიანია საქართველოში, რომლებსაც ჩემი და ჩემი თანაგუნდელების სჯერათ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მინიმუმ ამომრჩევლის 12-15% ჩვენ გვყავს, თუმცა ეს არ არის საკმარისი რაოდენობა ამომრჩევლისა, რომ გარღვევა მოხდეს. მე მინდა, რომ ადამიანებმა ეს პრორუსული კლიშეთი კი არ დაინახონ, არამედ სინამდვილე, რაც დგას ჩემი წინადადების ირგვლივ, ის დაინახონ.

***– თქვენ ორჯერ იყავით პარლამენტის თავმჯდომარე და ორჯერ – პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი. არავინ დავობს იმაზე, რომ ნინო ბურჯანაძე მაღალი რანგის პოლიტიკოსია. ძალიან ხშირად მსჯელობენ იმაზე, რომ თქვენ შეგეძლოთ ხელისუფლებაში მოსვლა, თუმცა დაუშვით შეცდომები, რის გამოც დაკარგეთ ხალხის ნდობა და მხარდაჭერა. თქვენ როგორ შეაფასებდით თქვენს შეცდომებს?***

– ჯერ ერთი, როდესაც ლაპარაკობენ, ორგზის პრეზიდენტი იყო და რატომ არ შეცვალა რადიკალურად მოვლენებიო, ეს ძალიან სასაცილოა. როდესაც ადამიანს სთხოვ, რომ 45 დღეში რაღაც რადიკალურად შეცვალოს, ეს არაკომპეტენტურობაზე უფრო მეტია. ეს გულუბრყვილობაა.

მე ჩემი პრეზიდენტობის ორივე ვადის განმავლობაში შევასრულე ყველაზე მთავარი მისია, რაც შეიძლებოდა შემესრულებინა. ყველაფერი გავაკეთე ჩემი მხრიდან, რომ ქვეყანაში არასტაბილურობა არ ყოფილიყო და, სხვათა შორის, ჩემთვის ყველაზე დიდი შეფასება არის ის, რომ ჩემი პრეზიდენტობის მოვალეობის შემდეგ, 2008 წლის 7 იანვარს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ ილია II-მ სამების საკათედრო ტაძარში წირვის დასრულების შემდეგ სახალხოდ გადმომცა წმინდა ნიკოლოზის ხატი და ამ ხატის გადმოცემის დროს მან საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ ის მე ამ ხატს მჩუქნის იმ უმნიშვნელოვანესი წვლილისთვის, რომელიც მე შევიტანე ქვეყნის სტაბილურობისა და გადარჩენისთვის.

უნდა გადავმდგარიყავი თუ არა 7 ნოემბერს? არ უნდა გადავმდგარიყავი იმიტომ, რომ მაშინ ქვეყანა შეიძლება სამოქალაქო ომამდე და სამოქალაქო დაპირისპირებამდე მისულიყო. მე დარწმუნებული ვარ, ეს რომ მომხდარიყო, ვინც დღეს მეძახის, რატომ არ გადადექიო, პირველი ის მესროდა ქვას, რატომ წამოხვედიო.

შეცდომები დავუშვი თუ არა? კი, დავუშ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „აფხაზეთში ქართველებს აღარ ლანძღავენ“

## ჯემალ გამახარია: „იქ ჩვენთვის ხელსაყრელი პირობები იქმნება“

გულიკო ბალაძე



**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან" აცხადებს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის, კერძოდ, აფხაზეთში ძალიან რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი მიმდინარეობს.**

***– ბატონო ჯემალ, მაშინ, როდესაც ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე ნატოს, ამერიკისა და მასთან დაკავშირებული ქვეყნების წვრთნები მიმდინარეობს, ამერიკის ვიცეპრეზიდენტი სტუმრობს საქართველოს, ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე აფხაზეთშიც მიმდინარეობს რუსეთის ჯარის წვრთნები. კრემლი გარკვეულ ქმედებებს აგრძელებს, რაღაც ხელშეკრულებებს აწერს ხელს. რაც ყველაზე მთავარია, თვით სეპარატისტებს შეერყათ აზრი, რომ ისინი აშენებენ სახელმწიფოს. ეს მათ წერილებსა და საჯარო გამოსვლებში ჩანს. თქვენ როგორ აფასებთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ვითარებასა და მათ განცხადებებს?***

– უნდა დაგეთანხმოთ იმაში, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე (მაგალითად) აფხაზეთში ძალიან რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი მიმდინარეობს.

***– რით გამოიხატება წინააღმდეგობრივი პროცესი?***

– სეპარატისტებს ჰგონიათ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებენ, თუმცა, ძალიან კარგად ხედავენ, რომ რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ანექსიის პროცესი მიმდინარეობს.

***– თუმცა, იმას გვერდს ვერ ავუვლით, რომ ბოლო დროს რუსეთის გამოისობით თუ ისე, ბუნებრივად, აფხაზებს ბევრი პრობლემები წარმოეშვათ., მაგალითად, იმავე სომხებთან, რომლებსაც სეპარატისტთა ძველი თუ ახალი ლიდერები ეთნორადიკალიზმს არქმევენ და მოსალოდნელ ეთნოკონფლიქტზე საუბრობენ.***

– რუსეთს სურს, აფხაზეთში ჰყავდეს ძალიან მყარი დასაყრდენი. აფხაზეთის ანექსიაში აფხაზი რუსეთის მყარი დასაყრდენი ვერანაირად ვერ იქნება. ამიტომ მოძებნეს სხვა დასაყრდენი, სომეხი, რუსი მოსახლეობა, რომელიც უნდა დაუპირისპირონ აფხაზებს. რუსი და სომეხი მოსახლეობა ჯამში მეტია, ვიდრე აფხაზი მოსახლეობა. ქართველი მოსახლეობა ან უნდა განდევნონ იქიდან, ან მოახდინონ ასიმილაცია. თუ ისინი აფხაზებს დაუახლოვდებიან, აფხაზეთის ანექსია შეუძლებელი იქნება.

რუსი თავის პოლიტიკას ახორციელებს ვაიაფხაზი ხაჯიმბას ხელით, რათა ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლი იყოს, რომ ქართველებმა მხარი არ დაუჭირონ აფხაზებს. დადგება დრო, როცა აფხაზები რუსების პირისპირ პირისპირ მარტო დარჩებიან. ბევრი აფხაზი ამას აცნობიერებს, ძალიან კარგად იცის, რა ხდება.

***– ამიტომ წუხს შამბა, რომ მათი „სახელმწიფო“ დაღუპვისა და გაქრობისკენ მიდის?***

– თქვენ მხედველობაში გაქვთ შამბას გამოსვლა „ამცახარას“ ყრილობაზე ივნისის ბოლოს, სადაც მან პირდაპირ განაცხადა, ჩვენ ვდგავართ ჩვენი სახელმწიფოებრიობის კრახის ზღურბლზე, პერსპექტივაში ჩვენ მოგველის ჩვენი ეთნოსის დაღუპვაო. ამის შესახებ ისინი სამზარეულოებში კი არ საუბრობენ, არამედ ყრილობებსა და ტელევიზიაში.

***– მიუხედავად იმისა, ხვდებიან, რომ ვერ შექმნეს სახელმწიფო (სახელმწიფო ჯერ არ იყო შემდგარი და ქრება?), შამბა ქართველების მიმართ მაინც ძალიან დიდ აგრესიას გამოხატავს. შამბა განაწყენებულია თურმე, რომ ქართველებს აფხაზურ პასპორტებს ურიგებენ და უცხოელ მოქალაქეებს უწოდებს.***

– ქართველებს აფხაზეთში პასპორტებს არ ძლევენ, ბინადრობის უფლებას აძლევენ. აფხაზეთში მცხოვრები ქართველებიდან ბინადრობის უფლება ძალიან ცოტას აქვს აღებული. ქართველები მოითხოვენ ნამდვილ პასპორტებს ან რუსეთის მოქალაქეობას, ბოლოს და ბოლოს. ისინი არ თანხმდებიან ე.წ. ბინადრობის უფლებასა და უცხოელის სტატუსზე. სეპარატისტებს ე.წ. კანონი აქვთ მიღებული და გალის რაიონის მოსახლეობას უცხოელის სტატუსი მიანიჭეს. შამბა ამის ერთ-ერთი ინიციატორია, საქართველოს წინააღმდეგ ასეთი ანტიქართული განცხადებებით გამოდის, მაგრამ, ღრმად ვარ დარწმუნებული და უტყუარი ინფორმაცია მაქვს იმის შესახებ, რომ აფხაზეთში კარგა ხანია დაწყებულია ფასეულობათა გადაფასება,

***– რა კუთხით?***

– მაინცდამაინც დიდად მოდაში აღარ არის ქართველების ლანძღვაგინება, როგორც ადრე იყო. განსაკუთრებით, როცა არაოფიციალური შეხვედრები და არაოფიციალური საუბრებია, ძირითადად აფხაზები რუსებს აგინებენ და არა – ქართველებს. ოფიციალურად, ტელევზიითა და პრესით, აუცილებლად უნდა იყოს რაღაც ანტიქართული ნათქვამი. სხვანაირად შეიძლება ცუდი დღე აყარონ რუსებმა.

***– გასაგებია, მაგრამ...***

– მეტსაც გეტყვით, 30 ივლისს გუდაუთის რაიონის სოფელ აჭანდარაში დიდი მუხის ქვეშ რაღაც წარმართული ღონისძიება ტარდებოდა, რომელსაც ხაჯიმბაც ესწრებოდა. იქ ქართველები დაწყევლეს. აფხაზურ ენაზე ამ ინფორმაციამ გაჟონა, მაგრამ რუსულ და სხვა ენებზე ამის შესახებ ინფორმაცია არ არის. შარშანწინდელი ვიდეომასალა ამის თაობაზე იუთუბზე შეგიძლიათ ნახოთ. ასე რომ, ანტიქართული გამოსვლები არის, მაგრამ შედარება არ არის წინა პერიოდთან. ყველა არაოფიციალურ შეხვედრაზე საუბარია არა ქართველებზე, არამედ რუსებზე და მიდის მათი ლანძღვაგინება. ძალიან დიდი ანტიქართული განწყობაა აფხაზეთში.

26 ივლისს აფხაზეთის ე.წ. სახალხო კრებაზე მოახდინეს რატიფიკაცია სოჭში ხელმოწერილი ე.წ. შეთანხმებისა შს ორგანოების ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შექმნის შესახებ. 9 დეპუტატმა ხმა წინააღმდეგ მისცა. ეს არის უნიკალური შემთხვევა. ორმა თავი შეიკავა, ერთმა მონაწილეობა არ მიიღო, ერთ-ერთი, ვინც მონაწილეობა არ მიიღო კენჭისყრაში, იყო თავმჯდომარე ვალერი კვარჭია.

***– მეგრელია?***

– აფხაზია. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა, ბატონ ვალერი კვარჭიას მოკითხვა გადავცე (თუ, რა თქმა უნდა, წაიკითხავს) და მისი ეს გადაწყვეტილება ვაჟკაცურ ნაბიჯად შევაფასო. მან კენჭისყრაში მონაწილეობა საერთოდ არ მიიღო, თუმცა არის თავმჯდომარე და კრება მიჰყავდა. მას ძალიან კარგად ვიცნობ და, შესაძლებლობა რომ მქონდეს, დავურეკავდი და ვეტყოდი ჩემს შეფასებას, მაგრამ ახლა ამას თქვენი გაზეთის მეშვეობით გავაკეთებ.

***– ამით რა ჩანს?***

– ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი, აფხაზური ელიტის წარმომადგენლები ღიად გამოდიან რუსეთთან კაბალური ხელშეკრულებების დადების წინააღმდეგ, რომელსაც აფხაზეთის ანექსიამდე მივყავართ. ამის შესახებ ისინი უკვე ღიად საუბრობენ. გამოქვეყნებულია ამ ადამიანების გამოსვლები, სადაც პირდაპირ აცხადებენ, რომ ეს არის ანექსია. ისეთი მარტივი სიტუაცია არ არის, როგორც ერთი შეხედვით ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს.

***– ანუ აფხაზეთში ვითარება იცვლება?***

– ვითარება ნამდვილად იცვლება. იმის იმედი არ მაქვს, რომ ხვალ ქართულ დროშებს ააფრიალებენ, მაგრამ, ვფიქრობ, ხელსაყრელი პირობები იქმნება იმისათვის, რომ ქართველები და აფხაზები ახლო მომავალში მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ.

***– კი მაგრამ, შამბა, მაგალითად, აფხაზეთში შიგნით არსებულ პრობლემებს ეთნორადიკალიზმს აბრალებს. ქართველებს იმიტომ კი არ ვებრძოდით, რომ აფხაზებს ავიწროებდნენ, არამედ აფხაზური ინტელიგენციისთვის ამაზრზენი იყო ეთნორადიკალიზმიო.***

– შამბას თქმით, აფხაზური ეთნოსის წინაშე მრავალი პრობლემა დგას, რომელიც ხელს უშლის აფხაზეთის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასა და როგორც ერის შენარჩუნებას. მთელი რიგი პრობლემები აქვს ჩამოთვლილი (მე თუ მკითხავთ, სწორი ანალიზი აქვს გაკეთებული), ამბობს, რომ ეს არის აფხაზეთის სახელმწიფოს აშენება, სადაც შენარჩუნდება აფხაზური ეთნოსი, მისი კულტურა. ამავე დროს, ჰარმონიული ურთიერთობა ექნება სხვა ერების წარმომადგენლებთან, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ორი დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ – ერთია აფხაზი ხალხის ასიმილაციის, აფხაზური ენისა და კულტურის დაკარგვის პრობლემა და მეორე – ეთნორადიკალიზმის პრობლემა, რომელიც დაღუპავს აფხაზეთს.

***– რა იგულისხმება ეთნორადიკალიზმში?***

– როდესაც აფხაზი ხედავს, მას ჩამოჰკიდეს აზრა, რომ ის დამოუკიდებელია, მაგრამ, რეალურად, დამოუკიდებელი არ არის – ეკონომიკა არ მუშაობს, ახალგაზრდები საზოგადოებაში თავიანთ ადგილს ვერ პოულობენ, ყველაფერი მოშლილია, არაფერი მუშაობს, არანაირი პერსპექტივა არ ჩანს და კიდევ რუსეთი ახორციელებს ანექსიას. ამ ვითარებაში რუსეთი სომხებს ეყრდნობა. ეს წარმოშობს ეთნორადიკალიზმს. ასე ხსნის ბატონი შამბა ეთნორადიკალიზმს.

აფხაზები უპირისპირდებიან რუსებს, სომხებსა და სხვა ეთნოსებს და ეს ჩვენ დაგვღუპავს, როგორც ქართველები დაღუპა ეთნორადიკალიზმმაო. ქართველები ეთნორადიკალიზმს არ დაუღუპავს. ჩვენთან ეთნორადიკალიზმი არ ყოფილა, მაგრამ მათ ასეთი შედარებები უყვართ.

***– თავის დროზე აფხაზ საზოგადოებაში ეთნორადიკალიზმი არ არსებობდა, რამაც, რეალურად, მათ რადიკალური ქმედებებისკენ უბიძგა.***

– აფხაზ საზოგადოებაში მართლაც არსებობს ეთნორადიკალიზმი აფხაზთა მხრიდან, რომელიც სხვა ეთნოსების წინააღმდეგ არის მიმართული. სხვა ეთნოსებს ე.წ. აფხაზეთის დამოუკიდებლობა საერთოდ არ სჭირდებათ. ხვალ რომ რეფერენდუმი ჩაატარონ, ხმას რუსეთთან შეერთებას მისცემენ. ამით აფხაზეთის დამოუკიდებლობა დამთავრდება. ეს ვითარება ჩვენ კარგად უნდა გავითვალისწინოთ და აფხაზეთის მიმართ ამ ვითარების შესაბამისი პოლიტიკა უნდა შევიმუშაოთ. ჩვენ გაგვაჩნია ჩვენი მოსაზრებები და შემოდგომაზე წარვუდგენთ ჩვენს ხელისუფლებას.

***– როგორი პოლიტიკა უნდა შევიმუშაოთ?***

– ჩვენ გვჭირდება სრულიად ახალი პოლიტიკა, იმ ვითარების გათვალისწინებით, რომელიც აფხაზეთშია შექმნილი.

***– რუსეთმა ხვალ ჯარი რომ გაიყვანოს აფხაზეთიდან და თქვას, მე მივდივარ და თქვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ხართო, მისი „სახელმწიფოებრიობიდან“ რა დარჩება? მაგათი „სახელმწიფო“, რეალურად, ხომ რუსულ ძალაზეა დამოკიდებული?***

– აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანა ნიშნავს ე.წ. ხელოვნურად შექმნილი საზღვრების მოშლას, დაფინანსების შეწყვეტას და ა.შ. ადამიანები იბრძოდნენ, ეგონათ, ბედნიერებასა და დიდ წარმატებას მოუტანდნენ თავიანთ კუთხეს, მაგრამ სრულიად საპირისპირო მიიღეს. ეს ბევრს ესმის, ბევრს – არა.

***– ამ პროცესების ფონზე როგორ აფასებთ ამერიკის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტს?***

– საქართველოში ამერიკის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტი და ის წვრთნები, რომლებიც მიმდინარეობს, არის ცალსახა დადასტურება იმისა, რომ აშშ და ევროპა მხარს უჭერენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ევროატლანტიკურ სივრცეში ჩვენს გაწევრიანებას, საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციას, რუსეთის ჯარის გაყვანას აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან.

# ნინო ბურჯანაძე: „ივანიშვილს არც მოსმენა სურს და არც ოპოზიცია სჭირდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ვი. მე არ მაქვს იმის პრეტენზია, რომ შეუცდომელი ვარ. შეუცდომელი მხოლოდ ღმერთია. ადამიანები შეცდომებს უშვებენ და მით უმეტეს – პოლიტიკოსები, მაგრამ არცერთი ჩემი შეცდომა ქვეყნისთვის არ ყოფილა საზიანო. ჩემი შეცდომები, რომლებიც მე დავუშვი და უდავოდ დავუშვი, ყველა იყო ძალიან საზიანო პირადად ჩემთვის, ჩემი ოჯახის წევრებისა და ჩემი ახლობლებისთვის. არ დაგეთანხმებით იმაში, რომ მე მქონდა ძალიან დიდი მხარდაჭერა. იცით, ეს რაღაც უცნაური მხარდაჭერა იყო, განსაკუთრებით 2003 წელს ძალიან დიდი მხარდაჭერა მქონდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ხალხი ქუჩაში გაჰყვიროდა „მიშა მიშას“.

მახსოვს, საარჩევნო კამპანიის დროს ხალხი მეუბნებოდა, იცით რა, ქალბატონო ნინო, ჩვენ თქვენ ძალიან დიდ პატივს გცემთ, ძალიან გვინდა, რომ ხელისუფლებაში მოხვიდეთ, მაგრამ თქვენ არ ხართ საკმარისად მკაცრი, თქვენ ხართ მაინც უფრო ლმობიერი და თქვენ ყველას არ დაიჭერთ, რაზეც მე ვპასუხობდი, რომ, რა თქმა უნდა, მე ყველას არ დავიჭერ, მე დავიჭერ, ვინც დასაჭერია, მაგრამ ხალხის მოთხოვნა მაშინ იყო სიმკაცრეზე, იყო ნგრევაზე, იყო ყველას დაჭერაზე, აგრესიაზე და დაუჭირეს სააკაშვილს მხარი.

აი, როდესაც სააკაშვილი მათ ოჯახებს მიადგა, ეს აღარ მოეწონათ. როცა ამბობს ხალხი, რომ ჩვენ მხარს ვუჭერდით ნინო ბურჯანაძეს, მე მათ ვეტყვი – არა, ბატონებო, თქვენ მე არცერთხელ არ დამიჭირეთ ბოლომდე მხარი, თქვენ მე არასოდეს არ მომეცით

## ჩემი შეცდომები, რომლებიც მე დავუშვი და უდავოდ დავუშვი, ყველა იყო ძალიან საზიანო პირადად ჩემთვის, ჩემი ოჯახის წევრებისა და ჩემი ახლობლებისთვის

ბოლომდე მანდატი, რომ რეალურად შემეცვალა ქვეყანაში ვითარება. საზოგადოება ჩემგან ყოველთვის ბევრს ითხოვდა, მაგრამ ბერკეტს არასოდეს მაძლევდა. სანამ მე ვიყავი პარლამენტის თავმჯდომარე, ომი რომ არ იყო, ეს ცოტაა?

ბათუმი რომ დაბომბვას გადავარჩინე, ეს ცოტაა? 2007 წელს კანცელარიასთან ჩამოყვანილი ყვითელი ავტობუსებით ხალხი სამოქალაქო დაპირისპირებას გადავარჩინე და სისხლისღვრას თბილისი, ეს არაფერი არ არის? მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში და მსოფლიო რევოლუციებისა და არეულობების ისტორიებში ერთადერთი ადამიანი რომ ვარ, რომელმაც პარლამენტის კარი გავაღე, მომიტინგეები შემოვუშვი სახელმწიფო შენობაში და ამით ყველანაირი კანონი და ნორმა დავარღვიე, ოღონდ ადამიანები გადავარჩინე, ეს არაფერი არ არის?

მე გავაკეთე ის, რაც ჩემი მოვალეობა იყო, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა. მე ვთვლი, რომ აბსოლუტურად ყველაფერი გავაკეთე, რისი შესაძლებლობაც მე მქონდა. მე ჩემი თავიც და ჩემი ოჯახიც პრაქტიკულად სამსხვერპლოზე მივიტანე, 2008-შიც, სხვათა შორის, როდესაც ჩემი უფროსი შვილიც და ჩემი ქმარიც ფრონტის ხაზზე იყვნენ და ჩემი უმცროსი შვილი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც საქართველოს საზღვარი გარედან შიგნით გადმოლახა. აქედან რომ გარბოდნენ პოლიტიკოსები თავიანთი შვილებიანად და ცოლებს ისტერიკები ემართებოდათ, რიგში არ ჩაგვაყენოთო, ჩემი 14 წლის შვილი მაშინ ზაფხულის სკოლიდან ლონდონიდან გამოიქცა, ბაქოში ჩაფრინდა და ბაქოდან მანქანით ჩამოვიდა თბილისში, იმიტომ, რომ თბილისის აეროპორტი დაკეტილი იყო. ეს არაფერზე არ ლაპარაკობს?

ასე რომ, თუ ვინმეს უნდა, მე უარყოფითად დამინახოს და ჩემი ვალდებულებები შემახსენოს, მეც ვეტყვი, რომ ეს ყველაფერი თავადაც გაიხსენონ და დაიცვან სამართლიანობა, როცა ჩემი მისამართით შეფასებებს გააკეთებენ.

***– სააკაშვილთან ერთად თქვენ იყავით ვარდების რევოლუციის ლიდერი, თუმცა მერე დაუპირისპირდით ერთმანეთს. თქვენ ასევე თავიდანვე გაემიჯნეთ ბიძინა ივანიშვილის მმართველობას, რომელსაც ასევე დიდი მხარდაჭერა ჰქონდა საზოგადოებისგან. რა პარალელს გაავლებთ ამ ორ ლიდერს შორის? ხშირად ამბობენ, რომ თქვენ ივანიშვილს თავს არ უყადრებთ, რადგან ის არ არის პოლიტიკოსი, რამაც ივანიშვილის გაღიზიანება თავიდანვე გამოიწვია. რას იტყვით?***

– ჩვენი ქვეყანა ეწირება ამა თუ იმ მმართველის კომპლექსებს. სააკაშვილი ჩემთან ურთიერთობის დროს დისკომფორტს გრძნობდა. მე მახსოვს, ერთ-ერთმა მაშინდელმა ლიდერმა მითხრა, სააკაშვილი შენთან ვერ იგინება, მაგიდაზე ფეხებს ვერ აწყობს, თავისუფლად ვერ იქცევა და ამიტომ მას შენთან ურთიერთობაში აქვს დისკომფორტიო.

მას ჰქონდა დისკომფორტი არა მარტო ამ დეტალების გამო, არამედ იმის გამოც, რომ ჩემი სახით ძალიან ბევრი ადამიანი ხედავდა სააკაშვილის უკეთეს ალტერნატივას და ეს ყველა პოლიტიკოსისთვის საფრთხის მატარებელია. მიუხედავად იმისა, რომ მე არაერთგზის ჩემი ნაბიჯებით, მოქმედებითა და რჩევებით ვამტკიცებდი, რომ ჩემთვის მთავარი იყო სახელმწიფოს ინტერესი, რომ ჩემთვის მთავარი იყო, ხელისუფლებას შეცდომები არ დაეშვა, სააკაშვილმა ეს ბარიერი ვერ გადალახა და ამაში ხელს უწყობდნენ ბოკერია და ძმანი მისნი. რით დამთავრდა ეს ყველაფერი, ვნახეთ.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მე საკმაოდ კარგ, კეთილშობილურ და კულტურულ ოჯახში ვარ აღზრდილი იმისთვის, რომ ვინმეს ზემოდან ვუყურო. ბიძინა ივანიშვილი, ბუნებრივია, არ არის პოლიტიკოსი და მას თავისებური კომპლექსები აქვს ამის გამო, მაგრამ, არა მგონია, ეს ყოფილიყო მიზეზი, რის გამოც მას არ სურს, ნინო ბურჯანაძე ჰყავდეს ხელისუფლებაში.

მე თავის დროზე ვაფრთხილებდი შევარდნაძეს, რომ შეიძლებოდა ქვეყანაში რეფორმები ნაკლებად მტკივნეულად განხორციელებულიყო, მაგრამ არ დამიჯერა, ასევე ვაფრთხილებდი სააკაშვილს, რომ მას ისევ თავისი გუნდი გაყიდდა და ეს დამღუპველი იქნებოდა მისთვის, მაგრამ არც მან დამიჯერა. არც ივანიშვილი აღმოჩნდა გამონაკლისი, რომელსაც ასევე არც მოსმენა სურს და საერთოდ ოპოზიცია არ სჭირდება. ამიტომ ისიც ისე დაასრულებს, როგორც მისმა წინამორბედებმა დაასრულეს.

# რამაზ საყვარელიძე: „საქართველოზე ნებისმიერ ზეწოლას ამერიკა პასუხს გასცემს“

## „კარგია, რომ პენსმა ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და გამოიყენა სიტყვა „ოკუპანტი“

ნონა ცაბაძე

**რა შედეგებს მოუტანს ქვეყანას ამერიკის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტი? უნდა ველოდოთ თუ არა რუსეთის მხრიდან აგრესიულ ქმედებებს? ამერიკული ტექნიკის გამოჩენა შეიძლება იქცეს თუ არა რუსეთისთვის გამაღიზიანებელ ფაქტორად? რა გზავნილი გაუგზავნა მან ოკუპანტს? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.**

**რუსეთს ამერიკასთან არ აქვს ისეთი პრობლემები, როგორიც ჩინეთთან. ამიტომ გამორიცხული არის, რომ რუსეთს ჩვენი ჩინეთთან ურთიერთობა უფრო აღიზიანებდეს და ამიტომ რა ვქნათ, არავისთან ურთიერთობა არ გვქონდეს?!**



***– ბატონო რამაზ, პოლიტიკოსებისა და საზოგადოების ნაწილის მხრიდან უკვე ისმის შეფასებები, რომ ამერიკული ტანკების გრუხუნი საოკუპაციო ხაზთან კარგს არაფერს მოგვიტანს. უნდა ველოდოთ რუსეთის მხრიდან აგრესიულ ქმედებებს?***

– ლაპარაკი იმაზე, რომ ამ მოსალოდნელი რეაქციებზე საუბრის შიშით უკეთესი შედეგს მიიღებ, ცოტა გაზვიადებულია. მაგალითად, რუსეთის არგაღიზიანების მიზნით ხაზგასმით მუშაობს სომხეთი. პოსტსაბჭოთა სივრცეში სომხეთი რუსეთის ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილი მეგობარია.

ამ ფონზე როგორ ექცევა რუსეთი სომხეთს?! რუსეთმა გაზის ვალში წაიღო მთელი სომხური წარმოება, ახლა კი ერთობლივი სამხედრო სტრუქტურა იქმნება, რომელიც განთავსდება სომხეთში და რომელსაც მართავს რუსეთი. იქნება ზუსტად ისე, რაც გააკეთა რუსეთმა აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან მიმართებით ანუ მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებთან.

***– ამით რის თქმა გსურთ?***

– იმის, რომ ის თავის მეგობარ ქვეყანას ექცევა, როგორც დაპყრობილ ქვეყანას, ართმევს ყოველგვარ სუვერენიტეტს. ვინც მოგვიწოდებს, რომ ვასიამოვნოთ რუსეთს, რისკენ მოგვიწოდებს? რომ მასობრივად გადავცეთ ეს სუვერენიტეტი რუსეთს?!

სომხეთის მაგალითი კარგად გვიჩვენებს, რომ რუსეთისთვის ანგარიშის გაწევით რუსეთი არ შეჩერდება. პირიქით, ბოლომდე მიიყვანს საქმეს და წაგართმევს ყველაფერს, რაც შეიძლება წაგართვას, ხოლო თუკი იმას არ გააკეთებ, რაც რუსეთს სურს, რისკი იმისა, რომ რუსეთი შეიძლება გაბრაზდეს, იზრდება, მაგრამ, მეორე მხრივ, შენს ხელთაც ჩნდება ის შესაძლებლობები, რითიც შეგიძლია, ელაპარაკო რუსეთს.

***– კერძოდ?***

– ან დაემუქრო მის ინტერესებს, რომ არ გავაკეთებ, რაც შენ გინდა, ან შესთავაზო ამ ინტერესების ფასად რაიმე სხვა. თუ შესათავაზებელი კარტი არ გექნება, მაშინ რაზე უნდა ეთამაშო?! ამიტომ, ამ მოდელის მომხრეები, რომ ნუ გადავდგამთ ისეთ ნაბიჯებს, რომელიც რუსეთს აწყენინებს, იმთავითვე წაგებულ საქართველოს გულისხმობენ და იმთავითვე დამღუპველია ეს პოლიტიკა საქართველოსთვის!

მაგ პოლიტიკით ვიყავით, მაგ პარტნიორობით ვიყავით, როცა თავზე დაგვამხო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები.

ამ გამოცდილებას თუ გავიაზრებთ და კიდევ დავამატებთ მეორე გამოცდილებას, კერძოდ, ბალტიის ქვეყნების გამოცდილებას, რომლებმაც სიტყვიერი გაღიზიანებით, პოლიტიკური დაპირისპირების გარეშე აკეთეს ის საქმე, რაც მათ ინტერესებში იყო, შევიდნენ ევროპულ სტრუქტურებში და, მიუხედავად დაძაბული ფონისა, უსაფრთხოება აქვთ გარანტირებული, სწორედ იმ მაგალითის ანალოგიურად ვმოქმედებთ ჩვენ!

***– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ უფრო აქტიური პოლიტიკაა საჭირო? ან რამდენად გამოგვივა ამერიკელების დახმარებით რუსეთის შეშინება?***

– რუსეთს მამაზეციერისაც არ ეშინია და დედამიწაზე ერთადერთი, ვისიც შეიძლება ეშინოდეს, სწორედ ამერიკაა. თუმცა არის კიდევ ერთი ქვეყანა, რომლის რუსეთს უფრო ეშინია, ვიდრე ამერიკისა და ჩვენ იმ ქვეყანასთანაც კარგი ურთიერთობა გვაქვს. ესაა ჩინეთი. ასე რომ, ჩვენი ჩინეთთან ურთიერთობა შესაძლოა რუსეთის კიდევ უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევდეს, ვიდრე ამერიკასთან ურთიერთობა.

რუსეთს ამერიკასთან არ აქვს ისეთი პრობლემები, როგორიც ჩინეთთან. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ რუსეთს ჩვენი ჩინეთთან ურთიერთობა უფრო აღიზიანებდეს და ამიტომ რა ვქნათ, არავისთან ურთიერთობა არ გვქონდეს?!

ჩვენთან როდესაც პედალირებენ მხოლოდ ამერიკასთან ჩვენს ურთიერთობებზე და ივიწყებენ ჩინეთის ფაქტორს, ეს რუსული სცენარია!

***– რას გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ იმას, რომ ისინი გვთავაზობენ, ვიმოქმედოთ რუსული სცენარით. რუსეთი ხმას არ იღებს ჩინეთის არსებობაზე, ვითომ ეს ქვეყანა არ არსებობდეს. ისინი ამბობენ, რომ უნდა ვიბრძოლოთ ამერიკის წინააღმდეგ და საკუთარ ქვეყანაშიც ეს პროპაგანდა აქვთ. მოდით, ამ პროპაგანდას ასე ადვილად ნუ გავიზიარებთ.

***– სალომე ზურაბიშვილმაც განაცხადა, რატომ გვიხარია, ოკუპირებული ტერიტორიის სიახლოვეს დაძაბულობა რომ მატულობს და ამერიკული სამხედრო ტექნიკა რომ გამოჩნდა, ნათელი არ არის, ეს ყველაფერი რა მიზანს ემსახურებაო. თქვენი აზრით, რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს?***

– მე არ ვამბობ იმას, რომ იმათ, ვინც ამ პოზიციას იკავებს, ნაკლებად უყვართ საქართველო, ვიდრე სხვას, ან ნაკლები პატრიოტები არიან, მაგრამ დაუკვირდნენ, რუსეთის წისქვილზე წყლის დასხმა ხომ არ გამოსდით ასეთი საქციელით?!

ჩემთვის ქალბატონ სალომესთან დავა ყოვლად საპატიოა, მაგრამ მასთანაც ვიდავებ. თუკი რუსეთისთვის მიუღებელია ასეთი ბაზები ანუ სასწავლო ცენტრები, მაშინ რუსეთი თავის ამ პრეტენზიებს წამოაყენებს და მერე საქართველოს შეეძლება ლაპარაკი იმაზე, რომ თუკი თქვენი პრეტენზია ეს არის, რომ ჩვენ არ გვქონდეს ამერიკული ბაზები, მაშინ გვითხარით, საპასუხოდ რას გააკეთებთ?! არსად რუსეთი არ ამბობს, რომ თუ შენ მის პრეტენზიას დააკმაყოფილებ, ის შენს პრეტენზიას დააკმაყოფილებს თუ არა ანუ ის მარტო მინდას იძახის ან არ მინდას, ხოლო თვითონ სხვის მინდასა და არ მინდას როგორ მოექცევა, ამაზე არაფერს ამბობს. ამ პირობებში თამაშის წესები დაცული არ არის.

***– 2008 წელსაც იყო დიდი ილუზია, რომ მხარს დაგვიჭერდა ამერიკა, მაგრამ მარტო დავრჩით რუსეთთან პირისპირ, აცხადებს სალომე ზურაბიშვილი. რით უპასუხებთ, შეიძლება იმ და ამ პერიოდის შედარება და პარალელების გავლება?***

– არ შეიძლება და მარტივი მიზეზის გამო. იმ პერიოდში რუსეთი საომარ პროვოკაციებს აწყობდა, მაგრამ იმ საომარ პროვოკაციებს რომ არ აჰყოლოდა ქართული მხარე, არაფერი მოხდებოდა! რუსეთმა ანკესი ისროლა და თევზი თუ წამოეგება ამ ანკესს, ეს უკვე იმ თევზის პრობლემაა და არა – მეთევზის.

ახლა ანალოგიური ტენდენცია არც რუსულ მმართველობაში ჩანს და არც – ქართულ მმართველობაში, რომ გამწვავების შემთხვევაში ისინი ამ ანკესს წამოეგებიან. ამიტომ ლაპარაკი ანალოგიაზე აქ ზედმეტია.

აქ არის კიდევ მთავარი ანალოგია. როდესაც დასავლეთმა აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა, მაშინ პუტინმა განაცხადა, რომ თქვენ თუ კოსოვოს დამოუკიდებლობას აღიარებთ, მე აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობას ვაღიარებო და შეასრულა კიდეც. პუტინის ამ სცენარს იმ პერიოდში ხელი შეუწყო სააკაშვილის ხელისუფლებამ. მაშინ სხვა ხელისუფლება გვყავდა საქართველოში.

***– ანუ დღეს ამ საფრთხეებს ვერ ხედავთ?***

– დღეს ასეთი ამოცანები რუსეთს ჯერჯერობით არ უდგას. თუმცა ბევრი უცხოელი ექსპერტი ამბობს, რომ რუსეთი ამერიკული სანქციებით ისეა კედელთან მიყენებული, რომ შესაძლოა მან საომარი მოქმედება რომელიმე ქვეყანასთან დაიწყოს. ასეთი ქვეყანა, რაც რუსეთს ანგარიშს გაასწორებინებს დასავლეთთან, საქართველო არ არის. დღეს მისი სამიზნე ისეთი ქვეყანაა, რომლითაც შემდეგ ვაჭრობას შეძლებს დასავლეთთან. საქართველოთი კი ვერ ივაჭრებს, რადგან დასავლეთი საქართველოში იმ საფასურს არ გადაიხდის, რაც რუსეთს უნდა, კერძოდ, სანქციების მოხსნას.

დღეს რუსეთი ამ ბეწვის ხიდზე გადის, ზედმეტ მოძრაობას გააკეთებს თუ არა, სანქციები მის მიმართ გაძლიერდება. 2008-ში კი ასეთი სანქციები დამოკლეს მახვილი რუსეთის თავზე არ ეკიდა.

***– მაიკ პენსმა ხმამაღალი განცხადებები გააკეთა ერთობლივ პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, ამერიკა ყველას მკაცრ პასუხს გასცემს, ვინც საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობას ხელყოფს. მან მკაცრად დაგმო რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. რა გზავნილი ამოიკითხეთ პენსის განცხადებებში და რა სახის მხარდაჭერაზე შეიძლება იყოს საუბარი?***

– კარგია, როდესაც მან ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და გამოიყენა სიტყვა ოკუპანტი. პენსის ასეთი მკაფიო პოზიცია უკვე დიდი მხარდაჭერაა. ასევე დიდი მხარდაჭერაა ამერიკის კონგრესის განცხადებაში გამოვლენილი.

ამ მხარდაჭერების ციკლი არ გულისხმობს იმას, რომ რუსეთი დამნაშავე ბავშვივით შეტრიალდება და კუთხეში დადგება, თუმცა ეს მხარდაჭერა ნამდვილად გულისხმობს იმას, რომ ამერიკული მხარე მის ხელთ არსებული საშუალებებით, მათ შორის სანქციებით, შეეცდება, დაიცვას პარტნიორი ქვეყნების ინტერესები. ამიტომ უსვამენ ხაზს ისინი, რომ საქართველო ამერიკის პარტნიორია და ის მის მეგობარ ქვეყანას იცავს.

პენსის თითოეული სიტყვა მუშაობს საქართველოს ინტერესებზე და, პრინციპში, აჩვენებს იმას, თუ რატომ გააერთიანა უკრაინისა და საქართველოს თემა კონგრესმა მის ცნობილ განცხადებაში. ისინი თავს ვალდებულად თვლიან, დაიცვან პარტნიორი ქვეყნების ინტერესები.

**ამერიკა გვეუბნება, ვიღებ ჩემს თავზე ამ ვალდებულებას, რომ ჩემს პარტნიორ ქვეყნებს დავიცავ! ამიტომ პედალირება მაინცდამაინც ნატოზე საჭირო არ არის**



***– საქართველოს მომავალი დასავლეთთან არის დაკავშირებულიო, აცხადებს პენსი. როგორ ფიქრობთ, გააქტიურდება საუბარი ნატოს გაფართოებაზე, ჩვენს ნატოში შესვლაზე, თუ ეს შორეული მომავლის ოცნებაა?***

– შესაძლოა, შორეული ოცნება არ არის. ნატოს გაფართოებაზე სწორედ იმიტომ არ მიდიან ამერიკა და ზოგადად დასავლეთი, რომ იმ ქვეყნებს არ შეექმნეთ დამატებითი სირთულეები, რომლებსაც სურთ ნატოში შესვლა, ამ შემთხვევაში კი საქართველოს. რადგან ამ მიზეზით არ შეჰყავხარ ნატოში, ისინი მხოლოდ მადლობას იმსახურებენ ჩვენი მხრიდან, თუმცა, ნატოსთან მიახლოებული სტანდარტებით ის მაინც გიცავს პარტნიორობის ჭრილში, რასაც რეგულარულად და პრინციპულად აჟღერებს დასავლეთი, კერძოდ, ამერიკა, რომ შენ მისი პარტნიორი ხარ და ის შენს ინტერესებს დაიცავს.

***– ეს მესიჯები ღიად ამოიკითხეთ?***

– დღეს ამერიკა იღებს იმას თავის თავზე, რასაც ნატო იღებს თავის თავზე ხელშეკრულებით, რომ ის ვალდებულია, მისი პარტნიორი ქვეყნები დაიცვას. ახლა ამერიკა გვეუბნება, ვიღებ ჩემს თავზე ამ ვალდებულებას, რომ ჩემს პარტნიორ ქვეყნებს დავიცავ! ამიტომ პედალირება მაინცდამაინც ნატოზე საჭირო არ არის.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ტრამპის პრეზიდენტად მოსვლის შემდეგ, საკმაოდ მცირე ხანში, ტრამპმა დიდი ინიციატივა გამოავლინა, რომ შეხვედროდა პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილს. ასევე საკმაოდ მცირე ხანში ვიცეპრეზიდენტი გამოიგზავნა მწვავე წერტილებში, მათ შორის, საქართველოში.

წარსულს თუ გადავხედავთ, ამ დროის მონაკვეთში ამ დონის ყურადღება არცერთ ადმინისტრაციას არ გამოუვლენია. ამ ყურადღებას კი ერთადერთი ფუნქცია აქვს – მსოფლიოს აგრძნობინოს, რომ საქართველოზე მიყენებულ ნებისმიერ ზეწოლას ამერიკა პასუხს გასცემს და აღიქვამს, როგორც თავის პარტნიორზე ზეწოლას.

# „ფერმერს მოტივაცია გაუჩნდება, მეღვინე კი ხარისხიან ყურძენს მიიღებს“

## რას ამბობენ მეღვინეები რთველის სუბსიდირებაში ცვლილებებზე

საქართველოში რთველის აჟიოტაჟის ფონზე ჩატარება უკვე „ტრადიციად“ იქცა. წლების განმავლობაში სუბსიდიას მიჩვეული გლეხებისთვის ყურძნის ფასი ხშირ შემთხვევაში მიუღებელი იყო.

წელს მთავრობა კახეთის რეგიონში რთველის სუბსიდირებიდან გამოდის. აღნიშნული შენარჩუნდება რაჭა-ლეჩხუმში სახვანჭკარე ჯიშებზე – ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე – 1კგ-ზე 2 ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, ღვინის კომპანიები, რომლებიც საბრენდე სპირტისა და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის წარმოების მიზნით რქაწითელსა და კახური მწვანის ჯიშის 1 კგ ყურძენს არანაკლებ 70 თეთრად შეისყიდიან, სახელმწიფოსგან დამატებით 35 თეთრს მიიღებენ.

„კომერსანტი“ შეეცადა გაერკვია, როგორ ხვდება კერძო სექტორი სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებას, დგას თუ არა კიდევ რეგიონში სუბსიდიის გაცემის საჭიროება და როგორ იმოქმედებს ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება ყურძნის ფასზე.

მთავრობის გადაწყვეტილებას იწონებს ღვინის მწარმოებელი კომპანია „თელავის ღვინის მარანის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ რამაზაშვილი.

მისი ინფორმაციით, ამ შემთხვევაში ყურძნის ფასის ფასწარმოქმნაში ჩაერთვება საბაზრო მექანიზმები და არც სახელმწიფოს და არც სხვა დანარჩენი მხარის ზეგავლენა არ იქნება. მისი თქმით, ყურძნის ფასი იქნება ის, რაც მისი რეალური საბაზრო ღირებულებაა.

როგორც რამაზაშვილი აცხადებს, ეს გაზრდის კონკურენტულ გარემოს და ყურძნის ხარისხიც მრავალწლიანი პერსპექტივით გაიზრდება. მისი მტკიცებით, უხარისხო ყურძნის მწარმოებელ მეწარმეს მოტივაცია ეკარგება, უხარისხო პროდუქცია აწარმოოს. რამაზაშვილი აცხადებს, რომ ასეთ შემთხვევაში ფერმერი ვარდება კონკურენტულ გარემოში და იძულებული ხდება, უკეთესი ყურძენი აწარმოოს, რათა შემდეგ მისთვის მისაღებ ფასად გაყიდოს.



რამაზაშვილის მტკიცებით, როდესაც სახელმწიფო რთველის სუბსიდირებას ახდენდა, ეს მოტივაცია არ არსებობდა. მისი მტკიცებით, ასეთ დროს ფერმერს მინიმალური ფასის მიღების იმედი მაინც რჩებოდა.

— საბოლოო ჯამში, ეს ყველასთვის უკეთესი იქნება. დღეს ამ მიღებული გადაწყვეტილებით შესაძლოა, ვინმე უკმაყოფილო დარჩეს, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ფერმერს, რომელმაც ვერ მოიყვანა სათანადო ხარისხის ყურძენი და მისი რეალიზება ან სასურველ ფასად ან საერთოდ ვერ მოახდინა. ამ სიტუაციაში მოიგებს როგორც მეწარმე და ფერმერი, ასევე ღვინის კომპანია. ფერმერი იმიტომ, რომ ის მიიღებს რეალურად საბაზრო ფასს, კომპანია კი – ხარისხიან ყურძენს, შესაბამისად, უკეთეს ღვინოს, რომელიც შესაძლოა, უფრო მაღალ ფასად გაყიდოს, – აცხადებს რამაზაშვილი.

რაც შეეხება რთველი 2017-ის ფარგლებში ყურძნის საბაზრო ფასს, რამაზაშვილი აცხადებს, რომ ეს საბაზრო პრინციპით დადგინდება.

მისი განმარტებით, წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა ფასი იქნება, რთულია.

— ეს იგივეა, რაც ბირჟაზე აქციების ფასის წინასწარ განსაზღვრა. ყველაფერი მოთხოვნა-მიწოდებაზე იქნება დამოკიდებული, – აცხადებს რამაზაშვილი.

მისი განცხადებით, კომპანია „თელავის ღვინის მარანი“ ყურძენს, გასული წლების მსგავსად, მიმდინარე წელსაც ჩაიბარებს. მთავრობის გადაწყვეტილების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყურძენზე რეალურად მოთხოვნა არის. ღვინის კომპანიები მზარდი ტემპებით ყიდიან ღვინოს, გაიზარდა როგორც ექსპორტის მოცულობები, გაყიდვები იზრდება შიდა ბაზარზეც.

* * *

ღვინის მწარმოებელი კომპანია „ბადაგონის“ დირექტორ გია შენგელიას ინფორმაციით, დროა, ქვეყანაში ყურძნის ხარისხი გაუმჯობესდეს. შედეგად, მთავრობის ეს გადაწყვეტილება გახდება მოტივატორი იმისა, რომ ეს საკითხი დარეგულირდეს.

შენგელიას განცხადებით, როდესაც ფერმერი სუბსიდიას იღებს, უფრო თამამად არის და გასაღების პრობლემა არ აქვს. მისი თქმით, სუბსიდიის პირობებში მას გარანტირებულად მინიმალური შემოსავალი ჰქონდა. როგორც შენგელია განმარტავს, მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ფერმერები ხარისხს უფრო მეტად მიაქცევენ ყურადღებას.

გია შენგელიას მტკიცებით, წელს ყურძენზე დიდი მოთხოვნა იქნება, რაც ფასის ზრდის საფუძველი გახდება.

— ყველა შემთხვევაში, წინა წელზე ძვირი იქნება. კომპანიები წელს გაფართოვდნენ, რეალიზაციაც მეტია. რამდენიმე ახალი კომპანია შემოვიდა ბაზარზე. კახეთში წელს დამატებით, დაახლოებით 4.000 ჰექტარი გახდა მსხმოიარე, – აცხადებს შენგელია.

წელს კომპანია „ბადაგონი“ ყურძნის საკმაოდ დიდ რაოდენობას ჩაიბარებს.

* * *

მთავრობის გადაწყვეტილებას იწონებს, თუმცა ამავე დროს შენიშვნები აქვს კახელ ფერმერ ილია პიტუაშვილს.

მისი აზრით, მთავარია, ფერმერმა მისთვის მისაღები ფასი მიიღოს და ეს სუბსიდირებით მოხდება თუ მის გარეშე, მნიშვნელობა არ აქვს. პიტუაშვილის განცხადებით, წელს გაძვირდა თითქმის ყველა ტიპის პროდუქცია, ფასი გაიზარდა ვენახისთვის საჭირო შხამქიმიკატებზეც. მისი თქმით, ფასის ზრდა ყურძენზეც უნდა გავრცელდეს.

როგორც პიტუაშვილი აცხადებს, წელს, მაგალითად 1 კილოგრამ რქაწითელზე მისთვის მისაღები მინიმალური ფასი 1.20 ლარი იქნება.

— შარშან კომპანია 80 თეთრს (სუბსიდირების ჩათვლით) იძლეოდა. ჩვენ გვინდოდა, დაახლოებით 10 თეთრით ძვირად გაგვეყიდა. ეს ფასიც არაფერი არ იყო. წელს თუ 70 თეთრი იქნება, კიდევ უფრო უარესი. წელს მუშახელის მომსახურების ფასი უკვე დღიურად 20 ლარიდან 30 ლარამდე ავიდა, – აცხადებს პიტუაშვილი.

რაც შეეხება ხარისხს, მისი მტკიცებით, არცერთი მევენახე ყურძენს არ გააფუჭებს. შესაბამისად, დღეს კახეთში ხარისხიანი ყურძენი იწარმოება.

* * *

სახელმწიფო ყურძნის სუბსიდირებას 2013 წლიდან ახორციელებს.

გასულ წელს რთველის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ ყურძნის სუბსიდირებისთვის 25 მილიონი ლარი გამოიყო. სუბსიდია 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე 45 თეთრით,1 კგ საფერავზე – 20 თეთრით, 1 კგ ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე 2 ლარით იყო განსაზღვრული.

2016 წლის ნოემბერში პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა რთველი 2016 შეფასებისას განაცხადა, რომ კახეთში ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღო 178-მა კომპანიამ, გადამუშავდა 100 ათას ტონაზე მეტი ყურძენი და კახეთის მოსახლეობის შემოსავალმა 97 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

რაც შეეხება რთველს რაჭა-ლეჩხუმში, ყურძენი მიიღო 24-მა კომპანიამ და მთლიანობაში 500 ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდა.

რაჭის მოსახლეობის შემოსავალმა რთველის პერიოდში 2.5 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტი**

# „გადამამუშავებელი ქარხნები რომ იყოს, ატამს არავინ გადაყრიდა“



კახეთში „ატმის რთველი“ მიმდინარეობს. წელს ამ მხარეში ატმის ჭარბი მოსავალი მოვიდა. როგორც ფერმერები და ექსპორტიორები აცხადებენ, ხილის ჩაბარება და დახარისხება მშვიდად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე მიმდინარეობს. ერთადერთი პრობლემა დაბალი ფასია, რაც ფერმერებს ხილის დაკრეფის სურვილს უკარგავს.

სოფელ ველისციხის მკვიდრმა გია ნინიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ წელს ატამი შარშანდელთან შედარებით გაიაფებულია:

— წელს კახეთის სოფლებში დიდი რაოდენობით ატამი და ვაშლატამა მოვიდა. თავიდან ორივე ძალიან კარგ ფასად იყიდებოდა, მერე კი, რაოდენობამ იმატა და ფასი დაეცა. ამჟამად 1 კილოგრამი ატმის საბითუმო ფასი 40-50 თეთრია, ხოლო ვაშლატამა 20-30 თეთრი ღირს. მოდიან ექსპორტიორები და ხილი ტრაილერებით მიაქვთ. შედარებით დაბალი ხარისხის ატამი ძალიან იაფი ღირს, რის გამოც, ზოგიერთმა გლეხმა საერთოდ გადაყარა. ატმის მოსავლის ნაწილი მცირე ზომისა იყო, თანაც, დასეტყვილი და არავინ ჩაიბარებდა. სწორედ ამიტომ სჭირდება კახეთს საწარმოები, სადაც ხილს გადაამუშავებენ.

გადამამუშავებელი ქარხნები რომ იყოს, ამოდენა ხილს არ ვიზარალებდით. ავიღოთ თუნდაც ტყემალი, რომელსაც ძალიან კარგად ასხია. უამრავი ტყემალი ჩამოდის ძირს და ეს მაშინ, როცა ტყემლის არაყი მრავალ ქვეყანაში ყველაზე ძვირი ყოფილა. გადამამუშავებელი ქარხნები რომ გვქონდეს, ამდენი ხილი უაზროდ არ დაიკარგებოდა. ასეთ საქმეში სახელმწიფო თუ არ ჩაერია, გლეხები ვერაფერს გახდებიან. შპს „გაგრას“ წარმომადგენელი მანანა გელაძე აცხადებს, რომ ექსპორტიორებს წელს ნორმალურ პირობებში უწევთ მუშაობა:

— კახეთში მუშაობს სპეციალური ჯგუფი, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკებით არის დაკომპლექტებული. ეს ჯგუფი ფიტოსანიტარიული და საბაჟო დოკუმენტების მომზადებას უზრუნველყოფს. სამინისტროს წარმომადგენლები ძალიან გვეხმარებიან და ხელს გვიწყობენ. ექსპორტიორის თქმით, წელს ძალიან დიდი რაოდენობით ატამი იყო დაზიანებული, ამიტომ, ფასიც დაბალი ჰქონდა:

— რომ ვაკვირდებოდი, გადარჩევის დროს მანქანებიდან უამრავი ატამი იყრებოდა, რადგან მოსავლის დიდი ნაწილი დასეტყვილი იყო. შეიძლება ეს დაზიანებები არასწორ მოვლასაც დავაბრალოთ: გლეხები ამბობენ, თითო ძირი ხე 10-12-ჯერ გვაქვს შეწამლული, არადა, ხილს ამდენი შეწამვლა არ სჭირდება. ამიტომ უნდა მიეშველონ გლეხებს სპეციალისტები, რომლებიც დააკვალიანებენ და ეტყვიან, როდის და როგორ უნდა შეწამლონ.

რაც შეეხება ექსპორტს, შარშან უკეთესი შედეგი გვქონდა: წელს ატმის ფასი იმდენად დაბალია, რომ ძალიან მცირე მოგებაზე ვმუშაობთ, შეიძლება ერთი მანქანიდან მარტო 200-300 ლარი დაგვრჩეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გავყიდით. ჩვენს კომპანიას ატამი ძირითადად აზერბაიჯანში და ყაზახეთში გააქვს. აზერბაიჯანს თავისი ატამიც აქვს, მაგრამ ჩვენთან რომ შემოდის, იმათი ატამი ჯერ კიდევ არ არის მწიფე. არის მეორე მიზეზიც – ჩვენი ბაღჩეული და ხილი გემოთი უკეთესია. მაგალითად: შარშან აზერბაიჯანში ექსპორტზე დიდი რაოდენობით კარტოფილი გავიტანეთ. იქ ეს პროდუქტი ბელორუსიდანაც შედიოდა, მაგრამ ქართული კარტოფილი უფრო მოსწონდათ. იგივე ითქმის ატამსა და სხვა ხილზე.

* * *

„ბიზნესპრესნიუსი“ ამ საკითხთან დაკავშირებით შპს „ფრუიტილიას“ დამფუძნებელ ვახო ბეჟიტაშვილსაც ესაუბრა.

**ვახო ბეჟიტაშვილი:**

— ატმის ჭარბი მოსავალი წელს კახეთში მოვიდა, თორემ ქართლის ბევრ სოფელში ყინვის გამო ამ ხილმა საერთოდ ვერ გაიხარა. კიდევ კარგი, რომ კახეთში მოსავლის მხოლოდ ნაწილი დაზიანდა. ქართული ატამი ძირითადად რუსეთში და ყაზახეთში გადის, ჩვენც ამ ქვეყნებზე ვმუშაობთ. ატამში 30 თეთრსაც ვიხდით და 1 ლარსაც – ხარისხს გააჩნია. რუსეთში ქართული ატამი საშუალოდ 60-70 ცენტი ღირს, საბაჟოზეც რიგები აღარ არის, რაც ყველა ექსპორტიორს უადვილებს მუშაობას:

— რასაკვირველია, საბაჟოზე გვამოწმებენ, მაგრამ ჩვენი პროდუქცია რუსეთის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და დაბრკოლებებიც არ გვექმნება. რაც მთავარია, საბაჟოზე ისეთი პრობლემები აღარა გვაქვს, რაც წინა წლებში გვქონდა, – ამბობს ვახო ბეჟიტაშვილი.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

# „მარიამის არტ-კაფე“ ბახმაროში — 3.000 ლარით დაწყებული ბიზნესი



„მარიამის არტ-კაფე“ დღეს ბახმაროში ადგილობრივების და ტურისტების შეკრების ერთადერთი ადგილია.

ბიზნესი 3.000 ლარით დაიწყო. ინვენტარი აჩუქეს. დედის დახმარებით იდეა რეალობად იქცა. სახლს, სადაც მარიამ ეჯიბია მხოლოდ არდადეგებზე ადიოდა, დღეს 20-მდე დამსვენებელი სტუმრობს.

— როცა უცხოელები მხედავენ, აღფრთოვანებულნი არიან, როგორ დავიწყე პატარა გოგომ საკმაოდ შემოსავლიანი ბიზნესი, – ამბობს მარიამი ,,საქმის კურსთან“ საუბარში.

არტ-კაფეს ინტერიერსა და ექსტერიერზე თავად იზრუნა. მარიამის ნამუშევრების გარდა, არტ-კაფედ ქცეულ ოდაში, მთაში სიარულით დაღლილ ვიზიტორებს ფერმწერ ხატია კობრეშვილის და ფოტოხელოვან გიორგი ისაკაძის ნამუშევრების დათვალიერების შესაძლებლობა აქვთ.

მარიამი ამბობს, რომ დღის 5 საათის შემდეგ გვიან საღამომდე არტ-კაფეში ყველა ადგილი დაკავებულია. შესაბამისად, დამწყები ბიზნესმენი უკვე გაფართოებაზე ფიქრობს. მომავალი სეზონისთვის პატარა სასტუმროს გახსნასაც ვარაუდობს.

— ბიზნესი, რომელიც ზღვის დონიდან 2.050 მეტრზე დავიწყე საკმაოდ შემოსავლიანი აღმოჩნდა. 20 ივლისს გავიხსენით. სტუმრებს ქართულ ტრადიციულ კერძებს ვთავაზობთ. 3 ადგილობრივი მყავს დასაქმებული, – ამბობს მარიამი.

სეზონი ბახმაროში 15 სექტემბრამდე გაგრძელდება. სივრცე, რომელიც ადგილობრივი და უცხოელი დამსვენებლებისთვის გართობის, დასვენებისა და ქართული ტრადიციული კერძების დაგემოვნების საუკეთესო ადგილად იქცა, ვიზიტორებს მომავალი სეზონიდან ისევ უმასპინძლებს.

**ბიზნესმედია**

# კომერციული დავების განსახილველად საქალაქო სასამართლოში სპეციალური მიმართულება შეიქმნა



თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიაში კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია შეიქმნა, რომელიც 500.000 ლარს ზევით დავის საგნის მქონე საინვესტიციო და კომერციულ დავებს განიხილავს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით, საბჭომ მსგავსი დავების განხილვასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ ბიზნესსექტორის წარმომადგენლების უკმაყოფილება გაითვალისწინა.

— დავების ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეები უზრუნველყოფენ საინვესტიციო და კომერციულ დავებზე მართლმსაჯულების სისწრაფის და ხარისხის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდასა და ეკონომიკის ზრდის ტემპის ამაღლებას“, – განმარტავენ საბჭოში.

# „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ „ენერგო პრო ჯორჯიამ“ იყიდა



„კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ „ენერგო პრო ჯორჯიამ“ იყიდა. აქტივში კომპანია 21,7 მილიონ ლარს გადაიხდის.

აუქციონი გუშინ შედგა დასრულდა და მხოლოდ ერთი განაცხადი დაფიქსირდა. კომპანიამ თანხა 10 დღის ვადაში უნდა გადაიხადოს. ფინანსებს აღსრულების ეროვნული ბიურო „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ დავალიანების გასტუმრებას მოახმარს.

„ენერგო პრო ჯორჯია“ ამ დრომდე, თბილისისა და კახეთის გარდა, ყველა რეგიონის ენერგომომარაგებაზე ზრუნავდა.

„კახეთის ენერგოდისტრიბუციას“ დაახლოებით 122 ათასი აბონენტი ჰყავს.

**კომერსანტი**

# ირაკლი ფირცხალავა: „ირაკლი მამალაძე თემურ თათარაშვილის საქმეშიც ფიგურირებს“

## პროკურორი: „ციანიდის საქმის მთავარი მოწმე აგენტი არ არის“

შორენა მარსაგიშვილი





პატიმრობაში მყოფმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა ირაკლი ფირცხალავამ ციანიდის საქმის მთავარ მოწმეზე სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა. მან რამდენიმე თვის წინ განაცხადა, რომ ირაკლი მამალაძე სპეცსამსახურების აგენტ-პროვოკატორი იყო და მას სასულიერო პირებთან, ჟურნალისტებთან და ლგბტ თემის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა ევალებოდა.

ამ განცხადების გამო ირაკლი მამალაძემ ფირცხალავას ცილისწამებისთვის უჩივლა. პატიმრობაში მყოფი დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატებმა კი ყოფილი მაღალჩინოსნის დაკითხვა მოითხოვეს. სკანდალური განცხადების ავტორი სასამართლოს წინაშე გუშინ, 1 აგვისტოს წარდგა.

ციანიდის საქმის ერთ-ერთ პროკურორ ზვიად გუბელაძის თქმით, ფირცხალავას განცხადებაზე გამოძიება ჩატარდა და დადგინდა, რომ ირაკლი მამალაძე აგენტი არ არის.

– თბილისის პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება ირაკლი ფირცხალავას საჯაროდ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, თითქოს ირაკლი მამალაძე არის აგენტი და საიდუმლოდ თანამშრომლობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან. აღნიშნული გამოძიების ფარგლებში დადასტურდა, რომ ირაკლი ფირცხალავა აკეთებდა ცრუ განცხადებებს. შესაბამისად, წარვადგინეთ გამოძიების შედეგები სასამართლოზე. ჩვენ ირაკლი ფირცხალავასთან გვექნება კითხვები, თუ რატომ აკეთებდა ცრუ განცხადებებს, – განუცხადა ჟურნალისტებს სასამართლოს დაწყებამდე საქმის პროკურორმა.

მისივე თქმით, ირაკლი მამალაძის გვარი არ არის სპეცსამსახურების ბაზაში. დაცვის მხარის მტკიცებით კი ბაზაში ყველა აგენტი არ არის რეგისტრირებული.

ადვოკატების ინფორმაციითვე, ყოფილმა მაღალჩინოსანმა კონკრეტული ფაქტები დაასახელა.

– ფირცხალავამ დაასახელა კონკრეტული პირები, ვის საქმეშიც ირაკლი მამალაძე, როგორც აგენტი, მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ეს პირები ცნობილი არიან საზოგადოებისთვის.

საუბარი იყო ასევე იმ ადამიანებზე, რომლებიც დაიჭირეს ირაკლი მამალაძის ჩართულობით. მოწმემ ისაუბრა ასევე, თუ როგორ გაათავისუფლეს ერთ-ერთი ტელევიზიიდან, რადგანაც ის ფარულად იწერდა საკუთარ თანამშრომლებს, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ადვოკატმა მია ზოიძემ.

დეკანოზ გიორგი მამალაძის კიდევ ერთი ადვოკატი გიორგი ფანცულაია ამბობს, რომ სასამართლოზე ფირცხალავამ გაიხსენა კონკრეტული საქმეებიც, რომელშიც ირაკლი მამალაძე მონაწილეობდა, როგორც აგენტი.

– ფირცხალავამ გაიხსენა კონკრეტული შემთხვევები, თუ როდის იღებდა ირაკლი მამალაძე მონაწილეობას, როგორც აგენტ-პროვოკატორი. მან გაიხსენა მომღერალ თემურ თათარაშვილისა და გადაცემის „მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად“ წამყვან გიო გაბუნიას საქმეები, რა დროსაც ირაკლი მამალაძე ჩართული იყო მათი დაკავების პროცედურებში.

ირაკლი ფირცხალავამ გაიხსენა ასევე თანხები, რომლებიც ძალოვანი უწყების წარმომადგენლებმა გადასცეს შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ ირაკლი მამალაძეს, – აღნიშნა ფანცულაიამ.

პროკურორ ზვიად გუბელაძის განცხადებით კი ყოფილი მაღალჩინოსნის ჩვენება მტკიცებულებად ვერ გამოდგება. მისივე თქმით, ფირცხალავას სასამართლოზე გავლენის მოხდენა აქვს განზრახული.



– მოწმე საუბრობდა გადმოცემით არსებულ ინფორმაციაზე და ის არ ყოფილა კონკრეტული შემსწრე. ის საუბრობდა მესამე პირისგან მოწოდებულ ინფორმაციაზე, გამოძიებამ მოიპოვა ოფიციალური ინფორმაცია და შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ირაკლი ფირცხალავას მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები არ შეესაბამება სიმართლეს.

დაცვის მხარემ კეთილი ინებოს და წარმოადგინოს ირაკლი ფირცხალავას განცხადებების დამადასტურებელი ინფორმაცია, მაგრამ მხოლოდ ფირცხალავას განცხადება, როგორც გადმოცემით ვიცი, არ არის მტკიცებულება.

მოწმე განზრახ მკვლელობის ორგანიზების ფაქტზეა გასამართლებული და ასეთი პირი არის დაინტერესებული, მოახდინოს პროკურატურისა და პროკურატურის მოწმის დისკრედიტაცია, – ამბობს გუბელაძე.

❖ ❖ ❖

1 აგვისტოს სასამართლოს სხდომაზე მოწმე ირაკლი ფირცხალავამ სხდომის ოქმი წარადგინა, თუ როგორ მიმდინარეობდა მასზე ზეწოლა, რომ პროცესზე არ გამოცხადებულიყო, როგორც მოწმე და არ მიეცა ჩვენება.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე კვირის წინ პროკურორები ირაკლი ფირცხალავას დასაკითხად ციხეში შევიდნენ. დაკითხვის დროს ფირცხალავა ცუდად გახდა. იმ პერიოდისთვის მას შიმშილობა ჰქონდა გამოცხადებული. ყოფილი მაღალჩინოსნის თანამოსაკნე გიორგი ცააძემ კი გაავრცელა ინფორმაცია, რომ ფირცხალავას პროკურორებმა სცემეს.

## პროკურატურამ ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

რუსთავის რაიონულმა პროკურატურამ ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტზე მოქალაქე დ.ტ.-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილით წარუდგინა ბრალდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 31 ივლისს, ქალაქ რუსთავში, მეგობრობის გამზირზე მდებარე ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე, დ.ტ.-მ ძელის საშუალებით, რომელზეც დამაგრებული იყო ლურსმანი, დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში სასტიკად სცემა დაბმულ ძაღლს. მიყენებულმა დაზიანებებმა ცხოველის სიკვდილი გამოიწვია.



პროკურატურამ სასამართლოს ბრალდებული დ.ტ.-სთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით უკვე მიმართა და 3.000 ლარის ოდენობით გირაოს შეფარდებას მოითხოვს.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით ერთ წლამდე.

## კარწახსა და სადახლოზე იარაღი და ვაზნები აღმოაჩინეს



24 -26 ივლისს საბაჟო გამშვებ პუნქტებში „კარწახსა“ და „სადახლო-საავტომობილოში“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოში შემომავალი თურქეთისა და სომხეთის მოქალაქეების, ა.ჰ-სა და ა.ც-ს კუთვნილი ავტომანქანების დათვალიერებისას ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და ვაზნები (ჯამში, 130 ცალი ვაზნა) აღმოაჩინეს.

საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულებს გადაეცათ.

## რუსთავში მე-5 სართულიდან გადმოვარდნილი 3 წლის გოგონა გარდაიცვალა

რუსთავში საცხოვრებელი კორპუსის მე-5 სართულიდან 3 წლის გოგონა გადავარდა. არასრულწლოვანი კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ექიმების თქმით, ბავშვს სიცოცხლისთვის შეუთავსებელი ტრავმები ჰქონდა.

მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 116-ე მუხლით აღიძრა, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

## ხატია დეკანოიძე: „წულუკიანი ბოლმას ვერ იშორებს“





ნაციონალური მოძრაობის წევრი ხატია დეკანოიძე იუსტიციის მინისტრის იმ განცხადებას ეხმაურება, სადაც წულუკიანმა განაცხადა, რომ თუ სააკაშვილი დაიდებს ბინას აშშ-ში, მაშინ საქართველოს ხელისუფლება ამერიკასთან გამართავს მოლაპარაკებას მის გადმოცემასთან დაკავშირებით.

– ძალიან სამწუხაროა, რომ როდესაც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება უაღრესად მნიშვნელოვანი ვიზიტი, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე პრეზიდენტის, რომელიც ჩამოვიდა საქართველოში იმისთვის, რომ აჩვენოს ქართველ ხალხს, რომ ამერიკა არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არის ურყევი და აშშ უჭერს მხარს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, ამ ფონზე, იუსტიციის მინისტრი, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური დაპირისპირების მიმართულებით ბოლმას ანთხევს და საუბრობს მიხეილ სააკაშვილის კვლავ დევნაზე, – ამბობს დეკანოიძე.

მისივე თქმით, სტრატეგიულმა პარტნიორებმა იციან, რომ პოლიტიკური ლიდერების დევნა, მათ შორის საქართველოს მესამე პრეზიდენტის დევნა, ეს არის დამაზიანებელი, პირველ რიგში, საქართველოსთვის.

– სამწუხაროა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრი არ გამოდის სახელმწიფოებრივი ინტერესის ჭრილიდან და ის კვლავ საუბრობს შიდა ბოლმაზე, რაც მას და „ქართულ ოცნებას“ აქვს, – აცხადებს დეკანოიძე.

მედიანიუსი

## უკრაინულ მედიაში ის განკარგულება გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოერთვა



უკრაინულმა ინტერნეტგამოცემა ობოზრევატელმა პრეზიდენტ პოროშენკოს იმ განკარგულების ფოტოასლი გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვეს.

დოკუმენტში სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის კონკრეტული საფუძველი მითითებული არ არის.

გამოცემა არ აკონკრეტებს, თუ საიდან მოიპოვა ამ განკარგულების ფოტოასლი.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის შემდეგ განაცხადა, რომ ბრძანება არ გამოქვეყნდებოდა, რადგან შეიცავს პერსონალურ მონაცემებს.

ობოზრევატელის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვითვე, სააკაშვილის გარდა, მოქალაქეობა კიდევ 7 პირს ჩამოართვეს.

მედიანიუსი

## ერთი კვირის განმავლობაში საგადასახადო სამართალდარღვევის 1.034 ფაქტი გამოვლინდა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ 24-30 ივლისს ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად საგადასახადო სამართალდარღვევის 1.034 ფაქტი გამოვლინდა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 9.716 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები:

საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 113 ფაქტი, ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 119 შემთხვევა, მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 802 შემთხვევა.

# აშშ-მ პუტინი კუთხეში მიამწყვდია

## რუსეთს ორი გამოსავალი დარჩა



აშშ-ის მიერ რუსეთისადმი სანქციების დაწესებითა და რუსეთიდან ამერიკელი დიპლომატების გაძევებით საერთაშორისო მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. მსოფლიოს წამყვანი გაზეთები ახალ ცივ ომზე წერენ, ომზე, რომელიც რუსეთმა გააჩაღა, რათა იმპერია აღედგინა.

ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, პუტინმა რამდენიმე საბედისწერო შეცდომა დაუშვა, რამაც მისი ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო.

პირველი შეცდომა ყირიმის ანექსია და „ნოვოროსიის“ შექმნის მცდელობა იყო. ეს უკრაინისაგან ყველაზე განვითარებული რეგიონების, აღმოსავლეთ-სამხრეთ უკრაინის, რუსეთთან შეერთებას ნიშნავდა.

– ნოვოროსიის გუბერნია რევოლუციამდე არსებობდა. მასში შედიოდნენ ყუბანი, თანამედროვე ზაპოროჟიეს ოლქის ნაწილი, დნეპრის (ყოფილი დნეპროპეტროვსკი) ნაწილი, აგრეთვე ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი, ყირიმი და დნესტრისპირეთი. პუტინმა სწორედ ამის აღდგენა მოისურვა, – წერს პორტნიკოვი.

პუტინი მოელოდა, რომ რუსული არმიის გამოჩენისთანავე უკრაინის აღმოსავლეთ-სამხრეთ რეგიონის მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდოდა და რუსებს ყვავილებით შეეგებებოდა. სინამდვილე სხვაგვარი აღმოჩნდა. ოდესაში, ხარკოვში, დნეპროპეტროვსკსა თუ ზაპოროჟიეში პრორუსულ ძალებს პასუხი არა ხელისუფლებამ, არამედ მოსახლეობამ გასცა. აგრესიამ უკრაინელები უმაგალითოდ შეკრა. უკრაინამ ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა და რუსების შეჩერება შეძლო.

– დონბასის ომმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღო, დასავლეთმა კი რუსეთს სანქციები დაუწესა. ეს კრემლის უდიდესი მარცხია, – წერს პორტნიკოვი.

მეორე შეცდომა სირიის დიქტატორ ასადის მხარდაჭერა იყო. ამან რუსეთის საერთაშორისო პრესტიჟი კიდევ უფრო დასცა, თუმცა ყველაზე სერიოზული შეცდომა აშშ-ის არჩევნებში ჩარევა გამოდგა.

აშშ-ში არსებობს კარგად აწყობილი სახელმწიფო მანქანა, რომელიც ნებისმიერი პრეზიდენტის მმართველობის პირობებში იფუნქციონირებს. არსებობს ელიტა, რომელიც არ დაუშვებს, რომ ქვეყნის ინტერესები შეილახოს. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი. ქვეყნის პოლიტიკური კურსი ამით არ შეიცვლება. პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევა რუსეთ-აშშ-ის გლობალურ დაპირისპირებაზე გავლენას ვერ მოახდენდა. პუტინმა ეს ვერ გაითვალისწინა. მის მიერ ტრამპის მხარდაჭერასაც უკუეფექტი ჰქონდა. პორტნიკოვი ხაზს უსვამს, რომ ამან ამერიკელი მოსახლეობა აღაშფოთა.

– პუტინის ავანტიურისტული ნაბიჯი რომ არა, საეჭვოა, ვაშინგტონი ისეთ რადიკალურ ნაბიჯზე წასულიყო, როგორიც მოსკოვისთვის ახალი სანქციების დაწესებაა, – წერს პორტნიკოვი.

დამატებითი სანქციების შემოღებით პუტინის დიდმპყრობელურ გეგმებს ხაზი საბოლოოდ გადაესვა. ახლა იმპერიის აღდგენისკენ მიმართული ძალისმიერი აქციები ისეთ დანაკარგთან იქნება დაკავშირებული, რომ მათ, უბრალოდ, აზრი ეკარგება.

პორტნიკოვის აზრით, შექმნილი მდგომარეობიდან რუსეთისთვის ორადორი გამოსავალი დარჩა. პირველი მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის შეთანხმებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში პუტინს დონბასიდან წასვლა და ყირიმის უკრაინისთვის დაბრუნება მოუწევს. შედეგად, მოსკოვის მიმართ დაწესებული სანქციები გაუქმდება, თუმცა რუსეთი აღარ იქნება რეგიონული ლიდერი.

მეორე სცენარი დონბასსა და სირიაში საომარი მოქმედებების, აგრეთვე ყოფილ სსრკ-ის რესპუბლიკებზე ზეწოლის გაგრძელებას ითვალისწინებს. ამას რუსეთის შიგნით მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება მოჰყვება. საბოლოოდ კი ყოველივე შესაძლოა პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებითა და რუსეთის დაშლითაც დასრულდეს.

– პუტინმა ამ ორი ვარიანტიდან ერთ-ერთი უნდა ამოირჩიოს. მას სხვა გამოსავალი აღარ დარჩა, – წერს პორტნიკოვი.

# პენტაგონი უკრაინის შეიარაღებას მოითხოვს

პენტაგონმა და სახელმწიფო დეპარტამენტმა თეთრ სახლს წარუდგინეს თავიანთი გეგმა, რომელიც უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას ითვალისწინებს. საუბარია უკრაინელებისთვის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარების, აგრეთვე საზენიტო დანადგარების მიწოდებაზე.

– ეს თავდაცვითი და არა შეტევითი ხასიათის შეიარაღებაა, – წერს „უოლ სთრით ჯორნალი“.

დონბასში რუსული რეგულარული არმიის ჯარისკაცები იმყოფებიან. მოსკოვმა სეპარატისტებს უახლესი რუსული ტექნიკა მიაწოდა. მიუხედავად ამისა, უკრაინულმა არმიამ ყველა დაკავებული პოზიცია შეინარჩუნა. სადღეისოდ დონბასის 80% ოკუპანტებისაგან გათავისუფლებულია. რუსების წინ წაწევის ყველა მცდელობა მარცხით მთავრდება.

უკანასკნელ ხანს რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო კონტინგენტის კონცენტრაცია შეინიშნება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ რუსული არმია უკრაინაში შეიჭრება, კრემლი კი ამას ე.წ. დონბასის მოლაშქრეთა აჯანყებად გამოაცხადებს.

– უკრაინაში პრობანდერული რეჟიმია დამყარებული! ქვეყნის შიგნით არ არსებობს ძალა, რომელიც მას დაამარცხებს. ბანდერელთა დამარცხება ქვეყნის გარედან, კერძოდ, დონბასიდან მოხდება. ამას დონბასელი მოლაშქრეები რუსეთის გარეშე გააკეთებენ, – აცხადებს პუტინის ფანი, ისრაელის ნატივის ყოფილი შეფი იაკობ კედმი.

უკრაინისადმი ლეტალური იარაღის გადაცემის მხარდაჭერით პენტაგონმა კიევს ნათელი სიგნალი გაუგზავნა: ამერიკა უკრაინას მხარს უჭერს.



# პოლონეთის პრეზიდენტმა ვეტოს უფლება გამოიყენა



პოლონეთის პრეზიდენტმა ანჟეი დუდამ ვეტო დაადო კანონპროექტს სასამართლო რეფორმის შესახებ.

ამ პროექტმა ქვეყნის შიგნით უდიდესი ვნებათაღელვა გამოიწვია. ათასობით პოლონელი ქუჩაში გამოვიდა, ევროკავშირი კი პოლონეთს სანქციებით დაემუქრა.

– კანონპროექტი სასამართლოს რეფორმების შესახებ დამოუკიდებელ სასამართლოს აუქმებს, – განაცხადა ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ.

მიუხედავად ამისა, პოლონეთის პრემიერი ბეატა შიდლო დაჟინებით მოითხოვდა, რომ დუდას კანონისთვის ხელი მოეწერა. პრეზიდენტმა კანონპროექტი გააკრიტიკა, თუმცა კარგა ხანს ყოყმანობდა, მისთვის ვეტო დაედო თუ არა.

ბოლოს დუდამ ვეტოს უფლება გამოიყენა.

# აშშ-მ ვენესუელის პრეზიდენტის მიმართ სანქციები შემოიღო

მიუხედავად მასობრივი პროტესტებისა, შეტაკებებისა და მსხვერპლისა, ვენესუელის ხელისუფლებამ საკონსტიტუციო ასამბლეის არჩევნები ჩატარებულად გამოაცხადა.

პრეზიდენტმა მადურომ მოსახლეობისადმი მიმართვაში განაცხადა, რომ საკონსტიტუციო ასამბლეის არჩევნების ჩატარება უდიდესი ისტორიული მოვლენაა და ამით ქვეყნის სტაბილიზაციისკენ უდიდესი ნაბიჯი გადაიდგა.



ვენესუელის ოპოზიცია არჩევნებს გაყალბებულად აცხადებს. ამას მსოფლიოს ბევრი წამყვანი ქვეყანა ეთანხმება. ვენესუელაში შექმნილი მდგომარეობის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი. პერუს ხელისუფლებამ კი განაცხადა, რომ ამ დღეებში ლიმაში ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლები შეიკრიბებიან, რათა ვენესუელაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ იმსჯელონ.

ცხადია, რომ ვენესუელის ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებას შეეცდება და არც ძალის გამოყენებას მოერიდება. ოპოზიციაც უკან დახევას არ აპირებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაპირისპირება გაგრძელდება.

აშშ-მ ვენესუელის პრეზიდენტ მადუროს მიმართ სანქციები შემოიღო. მისი ყველა ანგარიში გაყინულია.

# პესკოვი: „რუსეთი თავისი მეზობლების აშშ-სთან ურთიერთობას პატივისცემით ეპყრობა“

– რუსეთი პატივისცემით ეპყრობა თავისი მეზობლების აშშ-სთან ურთიერთობას, თუმცა შეშფოთებას გამოთქვამს იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება მის საზღვრებთან სამხედრო ინფრასტრუქტურის გაზრდას.

ალინიშნულის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განუცხადა.



პესკოვი აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსის ესტონეთსა და საქართველოში ვიზიტს გამოეხმაურა.

პესკოვის თქმით, საუბარი მიდის სუვერენულ ქვეყნებზე, რომლებიც თავიანთ ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან თავიანთი შეხედულებისამებრ წარმართავენ და „რუსეთისთვის ამაში არანაირი პრობლემა არ არის“.

– ამგვარი თანამშრომლობა ჩვენთვის პრობლემად მაშინ იქცევა, როდესაც ის სხვადასხვა ალიანსისა და მათი სამხედრო ინფრასტრუქტურის ჩვენი საზღვრების მიმართულებით გაფართოებას იწვევს, – აღნიშნა პესკოვმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# ტრამპმა სანქციებს ხელი მოაწერა



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების დაწესებას ითვალისწინებს.

– რუსეთის მიმართ დამატებითი სანქციების დაწესება საშუალებას მოგვცემს, ამ ქვეყნის მიმართ უფრო მოქნილი პოლიტიკა გავატაროთ, – აცხადებს ვიცეპრეზიდენტი მაიკ პენსი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

## მკურნალობა

- ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეშიზრდისსწრაფიმეთოდითვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ყაზახები ვლადიმერ ვაისის დაბრუნებას აპირებენ

ყაზახური მედიის ცნობით, საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ვლადიმირ ვაისი ალმაატის კაირატის მწვრთნელობის კანდიდატად განიხილება.

საქმე ის არის, რომ კაირატის მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ



მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ქართველმა სპეციალისტმა მიზეზად ის დაასახელა, რომ მან ყაზახ გულშემატკივარს იმედები გაუცრუა და გუნდი ევროპა ლიგაზე ვერ გაიყვანა.

შეგახსენებთ, რომ სლოვაკი სპეციალისტი, საქართველოში დასაქმებამდე, 2012 წლის დეკემბრიდან 2015 წლის ნოემბრამდე, სწორედ კაირატში მუშაობდა. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაო ორჯერ, ერთხელ კი ვერცხლი მოიპოვა. ამასთან, კაირატმა ორჯერ ქვეყნის თასი მოიგო.

სწორედ მისი წარმატებული შედეგები გაიხსენეს ყაზახებმა და გავრცელდა ინფორმაცია, რომ კაირატის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ცხადაძე შესაძლოა ვლადიმერ ვაისმა შეცვალოს.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

# საქართველო და ლატვია ერთმანეთთან სათამაშოდ ემზადებიან

საქართველოს ეროვნული ნაკრები ავსტრიიდან ლიტვაში ჩაფრინდა და რამდენიმე ვარჯიში გამართა. ჩვენმა ნაკრებმა ჯერ კლაიპედას უნივერსიტეტის დარბაზში ივარჯიშა. კალათბურთელებმა ძირითადად ტრენაჟორებზე დაიტვირთნენ, რათა ავსტრიიდან ლატვიის გავლით მგზავრობის შემდეგ სხეული ტონუსში მოეყვანათ და საღამოს ვარჯიშს მომზადებულნი შეხვედროდნენ.

უნივერსიტეტის სატრენაჟოროდან ნაკრების წევრებმა დარბაზში გადაინაცვლეს და სროლებში ივარჯიშეს. კალათბურთელებს დილის ვარჯიშზე მთავარი მწვრთნელი არ გაჰყოლია: გუნდი გიორგის ვავეცისმა და იურიცა გოლემაცმა მოამზადეს.

ნაკრების 14 კალათბურთელიდან მხოლოდ ბექა ბურჯანაძეა, რომელიც გუნდთან სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს, თუმცა ექიმების განცხადებით რამდენიმე დღეში ის მწყობრში ჩადგება. დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები კვლავ უნივერსიტეტის დარბაზში ივარჯიშებს, ხოლო 3 რიცხვიდან „კლაიპედოს არენაზე" გადავა, სადაც 4 და 5 აგვისტოს საერთაშორისო ტურნირი გაიმართება.

4 აგვისტოს საქართველო ტურნირის ნახევარფინალში ლატვიის ეროვნულ გუნდს შეხვდება, ხოლო მეორე ნახევარფინალში ლიტვა პოლონეთს დაუპირისპირდება. 5 აგვისტოს გამარჯვებულები ფინალში ითამაშებენ, ხოლო დამარცხებულები მე-3 ადგილს გაითამაშებენ.

თავის მხრივ საქართველოსთან სათამაშოდ ემზადება ლატვიის საკალათბურთო ნაკრებიც. ლატვიელებს სოხუმის ყოფილი მწვრთნელი აინარს ბაგატსკისი ავარჯიშებს. მისმა ამყამინდელმა შეგირდებმა პირველი მოსამზადებელი შეხვედრა 29 ივლისს ტამპერეში გამართეს და, მიუხედავად სოლიდური დანაკლისისა, ევროპირველობის ერთ-ერთ მასპინძელ ფინეთს 85:81 სძლიეს.

გასულ მატჩში ბალტიისპირელთა შემადგენლობა ექსპერიმენტული გახლდათ. მაგალითად, გუნდს გვიან შეუერთდნენ წამყვანი ლეგიონერები – იანის ბლუმსი, იანის სტრელნიეკსი, დაირის ბერტანსი და იანის ტიმა.

გადაწყვეტილია, რომ საქართველოსთან არ ითამაშებენ კრისტაპს პორზინგისი და დევის ბერტანსი. ლატვიელთა ლიდერებს ნბა-ს აფრიკულ ტურნეში უწევთ მონაწილეობა და ლატვიის ნაკრებში 8 აგვისტოს გამოცხადდებიან.

# ბალდე, მატუიდი, ნზონზი – იუვენტუსის სატრანსფერო ამბები

იუვენტუსის ხელმძღვანელობა აპირებს, მასიმილიანო ალეგრის 2 ფეხბურთელი კიდევ მოუყვანოს. საქმე ეხებათ კეიტა ბალდეს და ბლეზ მატუიდის. ტურინელებს შეუძლიათ, ამით სატრანსფერო ფანჯარა დახურონ.

ერთია, ბალდე თითქმის ნახევარ საფეხბურთო სამყაროს სურს – ინტერი, ნაპოლი, მილანი – ეს იტალიური კლუბების ჩამონათვალია, რომელსაც რამდენიმე ინგლისური კლუბი დაემატა. ლაციო ცდილობს მის სარფიან გაყიდვას, მაგრამ ბალდემ ყველა ეს წინადადება უარყო. ახალგაზრდა ფეხბურთელის მთავარი სურვილი შავთეთრი მაისურის ტარებაა. შესაბამისად, იუვენტუსი ჯერჯერობით ისევ მომგებიან მდგომარეობაში იმყოფება.





რაც შეეხება მატუიდის, რომელსაც პსჟ-სთან კონტრაქტი 2018 წელს უმთავრდება, მისი აგენტი მინო რაიოლა ამ ეტაპზე ფრანგული კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, რომელიც კლიენტის მომავალს ეხება.

ამ ეტაპზე ფრანგი საყრდენით ტურინული გრანდი ინტერესდება, თუმცა ტურინელები არ სურთ, ამ ტრანსფერის სანაცვლოდ 15 მილიონზე მეტი გადაიხადონ.

იტალიური მედია იმასაც ამტკიცებს, რომ ტურინელები ისევ ინტერესდებიან ნზონზით, თუ სევილია მას ფასს დაუწევს. ტურინელები ასევე დაინტერესებული არიან კარვალიოს მომსახურებით და სპორტინგთან კონტაქტში არიან, მაგრამ მისით ბევრი გუნდია დაინტერესებული, განსაკუთრებით არსენალი აქტიურობს, ამიტომ მისი ფასი ძალიან მაღალია.

თავის მხრივ, ტურინელ ხუან კუადრადოზე დიდი მოთხოვნაა. ბოლო დროს რომა გააქტიურდა და ცდილობს, კოლუმბიელი გადაიბიროს. ახალი ინფორმაციით, არსენალმა ისევ გააკეთა კუადრადოზე შეთავაზება – ლონდონელები ახლა უკვე 30 მილიონს ჩამოდიან.

შეტევა მიდის იუვენტუსის კიდევ ერთ საკვანძო ფიგურაზე. ჩელსი ისევ გააქტიურდა და ალექს სანდროზე 68 მილიონამდე გაზარდა თანხა, თუმცა იუვენტუსში კატეგორიული უარი განაცხადეს და განხილვას არცერთ ვარიანტში არ აპირებენ.

ცენტრალურ მცველთან დაკავშირებით იუვენტუსში გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. ბუფონი ამტკიცებს, რომ არავის დამატება საჭირო არ არის და დაცვის ხაზი ისედაც ძლიერია. კიელინის მოსაზრებით კი მას, ბარძალისა და ბენატიას დასვენებისთვის მეტი დრო დასჭირდებათ და სასურველია, კლუბში კიდევ ერთი მცველი იყოს. ამასობაში ალეგრი ცდილობს გაარკვიოს, რამდენად საიმედოა ცენტრალური დაცვის ხაზი და საბოლოო გადაწყვეტილებას, როგორც ჩანს, სუპერთასის მერე მიიღებს.

კიდევ ერთი ადგილი, სადაც იუვენტუსის გაძლიერება აუცილებელია, მარჯვენა მცველის პოზიციაა. დიდი შანსია, ლიხშტაინერი მალე ნიცაში აღმოჩნდეს და იუვე იძულებული იქნება, ნებისმიერ ვარიანტში დაიმატოს ფლანგის მცველი.

# მიროსლავ კლოზე მწვრთნელობას უმიზნებს

მიუნხენის ბაიერნის ერთ-ერთი ლეგენდა მიროსლავ კლოზე გულშემატკივრებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მირომ მსოფლიო ჩემპიონატებზე 16 გოლი გაიტანა, მუნდიალის ისტორიაში არის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი. გერმანიის რეკორდმაისტერის მაისურით მან 4 წელი გაატარა, სადაც 150 შეხვედრაში 53 გოლი გაიტანა.





კლოზე ბავარიულ კლუბში გატარებულ დროზე და ყოფილ თანაგუნდელებზე, რომლებიც დროთა განმავლობაში მსოფლიო ვარსკვლავებად იქცნენ, სიამოვნებით საუბრობს.

***– უბრალოდ, წარმოუდგენელია, როდესაც ქუჩაში გადიხარ, შენი გულშემატკივრები სიხარულისაგან ყიჟინს იწყებენ. ბევრი გულშემატკივარი გყავს. საერთოდ თავისუფლად გადაადგილებას თუ ახერხებ?***

– კი, უკვე საკმაოდ რთულია ქუჩაში გადაადგილება. მაგრამ მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ამდენი ქომაგი მყავს.

***– ბაიერნთან ერთად რამდენიმე დღე გაატარე შანხაიში. რა შთაბეჭდილებები მიიღე საზაფხულო ტურნესგან?***

– იქ ნამდვილად ბევრი ჩვენი გულშემატკივარია. ჩინეთი ძალიან საინტერესო ქვეყანაა. ხალხი უბრალოდ ფეხბურთით არიან შეპყრობილნი. ამის დანახვა სასიამოვნოა. ვიმედოვნებ, რომ კიდევ მექნება შესაძლებლობა იმის, რომ გუნდის ვარჯიშებს დავესწრო.

***– არ გაქვს იმის სურვილი, რომ ანჩელოტის მუშაობას თვალი მიადევნო იმისათვის, რომ შენი სამწვრთნელო კარიერის განვითარებაში სასარგებლო გამოცდილება მიიღო?***

– რა თქმა უნდა. კარლო შესანიშნავი მწვრთნელია და ასეთი მწვრთნელისაგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამის შესახებ.

***– რით გამოიხატება შენი როლი ჩინურ ტურნეში?***

– შეხვედრებს ვესწრები სპონსორებთან ერთად. მაგალითად, ჩვენ კლუბის მმართველობის საკონსულოში ვიყავით. ამგვარ შეხვედრებზე მრავალ საინტერესო ხალხს ეცნობი.

***– როგორ მოხდა, რომ იქ ბაიერნთან ერთად ჩახვედი?***

– მე ხშირად უნდა ვყოფილიყავი ჩართული კლუბის ლეგენდების აქტივობებში, მაგრამ სამწუხაროდ ძალიან ხშირად მომიწია გამგზავრება მივლინებებში და ამისათვის უბრალოდ დრო აღარ მრჩებოდა. ბევრს ვმოგზაურობდი ნაციონალურ გუნდთან ერთად. მაგრამ ახლა ყველაფერმა ჩაიარა და უდიდესი სიამოვნებით ვიმყოფები კლუბში.

***– როგორ შეიცვალა ბაიერნი მას შემდეგ, რაც თქვენ ამ კლუბში თამაშობდით?***

– გავიგე, რომ კლუბში ახლა გაცილებით მეტი თანამშრომელია. ეს ფაქტიც კი იმის მანიშნებელია, თუ როგორ გაიზარდა კლუბი და ეს პოზიტიური ცვლილებაა. ახლა კი ჩვენ ბევრი აქტივობები გვაქვს და ყველაფერი წვრილმანებამდეა გათვლილი.

***– ბავარიაში 2007-11 წლებში თამაშობდი. როგორი მოგონებები დაგრჩა იმ პერიოდზე?***

– მხოლოდ საუკეთესო. ჩვენ ორჯერ დუბლი მოვიგეთ. იყო პერიოდი, როდესაც მე ძირითადის ფეხბურთელებს არ მივეკუთვნებოდი. ვან გაალის დროს მე ხშირად სათადარიგო სკამზე ვრჩებოდი. ამის მიუხედავად, ჩვეულ თავდაუზოგავად ვმუშაობდი და გუნდის მხარდაჭერას ვცდილობდი, იმისათვის რომ მას წარმატებისათვის მიეღწია, მაშინაც კი როდესაც მინდორზე არ ვიმყოფებოდი. და ამ 4 წლის განმავლობაში ჩვენ წარმატებულნი ვიყავით. იმ წლებში მე ბევრი რამ ვისწავლე. ჩემთვის ეს ახალი სიტუაცია იყო: ყოველთვის სასტარტოში ვერ მოხვედრა და ზოგჯერ თამაშის გამოტოვებაც და ეს ის მდგომარეობა იყო, რომელთანაც მე შეგუება მიწევდა.

***– ზოგიერთი ფეხბურთელი, რომლებთანაც შენ ჯერ კიდევ მაშინ მოგიწია თამაში, ახლაც გუნდში არიან, ან რამდენიმე ხნის შემდეგ უკან დაბრუნდნენ, როგორც მაგალითად მათს ჰუმელსი. ის შენს პერიოდში ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა იყო, სანამ დორტმუნდში გაემგზავრებოდა. როგორ აღიქვამდი მას იმ პერიოდში?***

– ჰუმელსი გუნდში პირდაპირ ახალგაზრდული შემადგენლობიდან მოვიდა და თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა პროფესიონალურ ფეხბურთში. მას შემდეგ მან წარმოუდგენელ პროგრესს მიაღწია თავის განვითარებაში.

***– შესაძლებელი იყო მაშინ ვარაუდი იმისა, რომ ის ასეთ გზას გაივლიდა და საბოლოოდ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ჩამოყალიბდებოდა?***

– ჩანდა, რომ კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ კარგ ფეხბურთელსა და ტოპფეხბურთელს შორის განსხვავებაა. თუმცა ახლა მან უკვე მიაღწია ამ დონეს.

***– ტომას მიულერთან როგორი სიტუაცია იყო, როდესაც შენ ის გაიცანი, ის ხომ მაშინ კლუბის ნიჭიერი ახალგაზრდა იყო?***

– ტომასი თავიდანვე ძალიან გონიერი ფეხბურთელი იყო. ჯერ კიდევ მაშინ მოიპოვა გუნდში თამაშის უფლება. ჩვენ ერთ პოზიციაზე ვთამაშობდით და ვმეტოქეობდით, რადგან ვან გაალის დროს მე 10-იანის პოზიციაზე ვმოქმედებდი. ამიტომ ჩვენ ხშირად ვცვლიდით ერთმანეთს. მაშინ ყველაფერი მისთვის ახალი იყო და ის ცივ გონებას და სიმშვიდეს ინარჩუნებდა მეტოქის კართან, ეს უკვე მაშინვე შეიმჩნეოდა. ვთვლი, რომ ის შესანიშნავი ფეხბურთელია.

***– ნაციონალურ გუნდთან ერთად კონფედერაციის თასზე იმყოფებოდი და პირადად გაიცანი სებასტიან რუდი და ნიკლას ზიულე. რით გაახარებენ ისინი ბაიერნის გულშემატკივრებს?***

– ორივე ძალიან საინტერესო ფეხბურთელია. სებასტიანს ხშირად ვერ აფასებენ საჭიროდ, მაგრამ ამაშიც არის რაღაც უპირატესობები. ის არ გამოირჩევა, მაგრამ ყოველთვის იქ იმყოფება, სადაც საჭიროა. ძალიან თავდაჯერებულად აკონტროლებს ბურთს და ძალიან სწრაფია პოზიციურ თამაშში, ის ძალიან, ძალიან კარგი ფეხბურთელია და ბაიერნში გადასვლა მას მხოლოდ სარგებელს მოუტანს. ნიკლასი – გაბარიტული, ძლიერი და ამასთანავე მოძრავი, სწრაფი ფეხბურთელია, რაც შეიძლება მაშინვე არ იყოს შემჩნეული. ორივეს ძალიან დიდი კონკურენცია აქვს, რომლის მოგებაც დასჭირდებათ. მაგრამ მათ კიდევ მიეცემათ თავისი შანსი.

***– რას ელოდები ბაიერნისგან ახალ სეზონში?***

– კარლ-ჰაინც რუმენიგემ ცოტა ხნის წინ თქვა, რომ კლუბი აზიური ტურნეს შემდეგ ყოველთვის როგორც მინიმუმ დუბლს იგებდა. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ეს სეზონი გამონაკლისი არ იქნება. დრო გვიჩვენებს. კონკურენცია არსებობს, ის გაიზარდა, მაგრამ არც ბაიერნი კარგავდა დროს ტყუილად.

***– რით დაკავდები მომავალში? იქნები თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატზე მომავალ წელს?***

– ჯერ შვებულებაში გავდივარ, რაც ძალიან მახარებს. ამ ბოლო დროს ბევრი ვიმოგზაურე. შემდგომ კი სამწვრთნელო ლიცენზიის მიღების დროც დადგება. ხოლო ა კატეგორიის ლიცენზიის მიღების შემდეგ ნაციონალურ გუნდთან ერთად ვიქნები. ჩვენ კიდევ მოგვიწევს ერთად შეკრება და ბევრი დეტალის შეჯამება, ყველა შემთხვევაში, რუსეთში აუცილებლად გავფრინდები.

# თბილისის დინამოში ირანელი ფეხბურთელი ისინჯება

ირანელი შემტევი ნახევარმცველი პაიამ სადეღიანი თბილისშია და გუნდთან ერთად პირველი ვარჯიში გუშინ ჩაატარა.

25 წლის ფეხბურთელი თავისი კარიერის განმავლობაში ირანულ კლუბებში – ზობ აჰანში, პერსეპოლისში, ნაფტში, საბა ქომში და საზი თაბრიზში





ასპარეზობდა. მას ეროვნულ ნაკრებში 5 მატჩი აქვს ჩატარებული და 1 გოლიც გაიტანა. მანამდე კი ირანის ყველა ასაკობრივი ნაკრები აქვს გამოვლილი და მისი სტატისტიკური მაჩვენებელი ასეთია:

4-წლამდელთა ნაკრებში მან 25 ჩატარებულ მატჩში 14 გოლი გაიტანა, 17-წლამდელებში (21 მატჩში 8 გოლი), 20-წლამდელებში (5 მატჩში 1 გოლი), 23-წლამდელებში (22 მატჩში 12 გოლი).

სადეღიანი თავისუფალი აგენტის სტატუსით არის და მის შესახებ გადაწყვეტილება ახლო მომავალში იქნება მიღებული.

მოამზადა
მიხეილ ჟორჟოლიანმა

## შედეგები

**31 ივლისი**
**ფეხბურთი**

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ფორტუნა-ბრაუნშვაიგი | 2:2 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

| | |
|---|---|
| ოსერი-ლანსი | 1:0 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-კრასნოდარი | 2:0 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| კორონა-კრაკოვია | 4:2 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სილკებორგი-ორხუსი | 2:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ესკილსტუნა-დიურგარდენი | 1:2 |
| ჰაკენი-იორებრო | 1:1 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ჰიკი-ჰიფკი | 2:0 |
| ჯჯკ-როვანიემი | 1:1 |
| სეინეოკი-კუუპიო | 1:0 |

# ისლამური სახელმწიფო ლიბიაში გადადის

მარიამ მჭედლიშვილი

## რა გამოიწვევს მიგრაციის მასობრივ ტალღას აღმოსავლეთიდან



ცოტა ხნის წინ მსოფლიოში საუბრობდნენ ტერორისტული დაჯგუფება ისლამური სახელმწიფოს მოახლოებულ დაშლაზე, რაც გამოიწვევდა დარჩენილი ტერორისტების გადაჯგუფებებსა და ადგილსამყოფელის შეცვლას.

დღევანდელი მონაცემებით, რადიკალი ისლამისტების დაჯგუფება სირიიდან და ერაყიდან გამოდევნის შემდეგ ლიბიაში იმაგრებს პოზიციებს.

ტერორისტების თვითმარქვია დედაქალაქი რაქა, ფაქტობრივად, გათავისუფლებულია ისლამური სახელმწიფოსაგან, თუმცა იქ ჯერ რჩება მისი წევრების გარკვეული რაოდენობა.

ამერიკული წყაროების ინფორმაციით, მებრძოლები ლიბიაში, ტუნისის საზღვართან ჯგუფდებიან და თავიანთ რიგებს ახალი წევრებით ავსებენ.

ლიბიაში, ეგვიპტის საზღვართან, ისლამური სახელმწიფოს ჩანასახი 2013 წელსაც არსებობდა. ის „ძმებ მუსლიმანებთან“ დაკავშირებული ლაშქრისა და „ალ-ქაიდას“ ოპონენტებისაგან შეიქმნა. მოგვიანებით ფორმირებამ სირიასა და ერაყში გადაინაცვლა.

დღეს ისლამური სახელმწიფოს ზრახვები ლიბიაში უფრო სახიფათოა, მათ შორის, დასავლეთისათვის. ჯიჰადისტები პარტიზანული ომით მოახდენენ ლიბიის ნავთობის ობიექტებისა და პორტების საბოტაჟს. ისინი გამოიყენებენ მიზანმიმართულ ტერორიზმს იმისათვის, რომ გამოიწვიონ ხალხის მასობრივი მიგრაცია და დესტაბილიზაცია მეზობელ ქვეყნებსა და ევროპაში.

ექსპერტების თქმით, ისლამური სახელმწიფო ერაყისა და სირიის ნავთობის საბადოებს თავისი ბარბაროსული მმართველობის დაფინანსების წყაროდ იყენებდა. ამ მხრივ მათ არც ლიბიაში გაუჭირდებათ. გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისის მიუხედავად, ლიბიამ წარმოება გაზარდა და მას დიდი რესურსები აქვს. გარდა ამისა, ისლამისტების რიგები ახალი წევრებით ივსება.

– ტერორისტებს აქვთ შანსი, აღიდგინონ დანაკარგები მოსულში, რაქასა და სირტაში, – აცხადებს ამერიკელი ანალიტიკოსი რობერტ იანგ პელტონი.

მისი თქმით, ტერორისტული დაჯგუფების პროპაგანდისტული მანქანა უზრუნველყოფს ახალი წევრების მიღებას. ამ ორგანიზაციას დაფინანსება და პიარპაკეტები აქვს და მწვრთნელებიც ჰყავს.

ისლამური სახელმწიფოს რიგები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ივსება. ლიბიაშიც არიან უკონტროლო მებრძოლები, ადამიანებით მოვაჭრეები, აქ ასევე ბევრი იარაღია.

ისლამური სახელმწიფოს შემადგენლობაში იბრძვიან კავკასიელები. მიმდინარეობს მუშაობა ახალი ჯიჰადისტების გადასაბირებლად.

ახალი ინფორმაციით, ნალჩიკში დააკავეს 21 წლის სტავროპოლის მხარის მცხოვრები. იგი თურქეთის გავლით სირიაში მიემგზავრებოდა. რელიგიური ექსტრემისტების გავლენის ქვეშ ახალგაზრდა სოციალური ქსელების საშუალებით მოექცა.

რუსეთის ვლადიმირის ოლქში ცენტრალური აზიის ორი წარმომადგენელი დააკავეს. გამოძიების განცხადებით, ისინი ისლამური სახელმწიფოს დავალებით ტერაქტებს ამზადებდნენ და ამ მიზნით ცეცხლსასროლ იარაღს იძენდნენ.

კავკასიის რეგიონში ტერაქტის მოსაწყობად ხალიფატს ახალი სახეების მოძებნა არ სჭირდება. ისლამურ სახელმწიფოს აქ ვილაიეთი აქვს და წევრები ჰყავს. სპეცოპერაციების შედეგად კავკასიაში ლიდერები გაანადგურეს, მაგრამ ტერორისტული ქსელი ისევ არსებობს.



# სამხრეთკორეელი პენსიონერი სოციალურ ქსელში პოპულარობით სარგებლობს

სამხრეთ კორეის მცხოვრებმა 71 წლის ქალმა სოციალურ ქსელებში სახელი მას შემდეგ გაითქვა, როდესაც საკუთარი გასართობი ფოტოსურათებისა და ვიდეოჩანაწერების გამოქვეყნება დაიწყო.

პაკ მაკრი ქალაქ იონინში საკუთარ სასადილოს ფლობს და თავის ცხოვრებიდან თავშესაქცევ მომენტებს ფოტოებსა და ვიდეოჩანაწერებზე ასახავს. ასევე პენსიონერი ქალბატონი საკუთარი მაკიაჟის საიდუმლოს ამხელს და მსოფლიოში თავისი მოგზაურობის ამსახველ ფოტოებსა და ვიდეორგოლებსაც აქვეყნებს. პენსიონერის თქმით, მას შემდეგ, რაც ის სოციალურ ქსელში დარეგისტრირდა და გააქტიურდა, ცხოვრების გემო ისევ გაიგო.

იუთუბიზე დარეგისტრირების იდეა ქალის შვილიშვილს კიმ იურეს დაებადა. პაკ მაკრის პირველმა ვიდეორგოლმა 600 ათასამდე ნახვა მიიღო. სამხრეთკორეელ პენსიონერს ასევე საკუთარი გვერდი აქვს სოციალურ ქსელ ინსტაგრამზე, რომელსაც 122 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

# ევროპული გრანდები პსჟ-ს წინააღმდეგ ერთიანდებიან

საფეხბურთო კლუბ ბარსელონის ინიციატივით ევროპული ფეხბურთის გრანდები პარი სენ ჟერმენის წინააღმდეგ გაერთიანებას იწყებენ.

ფრანგული მედიის ცნობით, კატალონიელებმა წამყვან ევროპულ კლუბებს პსჟ-ის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლისკენ მოუწოდეს. კატალონიური მხარე პარიზულ კლუბს ფინანსური ფეარ-ფლეის წესების გვერდის ავლაში ადანაშაულებს და თვლის, რომ ევროპული ფეხბურთის სტაბილურობა საფრთხეშია.

ფრანგი ჟურნალისტების ინფორმაციით, ბარსელონის პოზიციას მიუნხენის ბაიერნი და ტურინის იუვენტუსი იზიარებენ. ეს კლუბები აპირებენ, პსჟ იზოლაციაში მოაქციონ, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რა იგულისხმება ამაში.

შეგახსნებთ, რომ პარი სენ ჟერმენის ფინანსური შესაძლებლობის მთავარი მსხვერპლი სწორედ ბარსელონაა, რომელსაც გუნდის ერთ ლიდერთან, ნეიმართან გამომშვიდობება უწევს. ამიტომაც გასაკვირი არ არის მათი მხრიდან ამ ინიციატივის ხელში აღება.

პარიზელებმა კი ფინანსური ფეარ-ფლეის წესებისთვის გვერდის ასავლელად შემდეგი სქემა შეიმუშავეს: ნეიმარი ერთ-ერთ ყატარულ კომპანიასთან 5-წლიან სასპონსორო შეთანხმებას გააფორმებს და მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის ელჩად ყოფნის სანაცვლოდ, 300 მილიონ ევროს მიიღებს. ამ თანხიდან 222 მილიონს ნეიმარი ბარსელონიდან საკუთარი თავის გამოსასყიდად გამოიყენებს. ეს კი ნიშნავს, რომ პსჟ ფეხბურთელში ფულს არ გადაიხდის და ფრანგებს არც ფინანსური ფეარ-ფლეის წესების დარღვევა მოუწევთ. ბარსელონას კი მიაჩნია, რომ ასეთი სქემის ამოქმედება ევროპულ ფეხბურთში მოქმედ წესებს მაინც არღვევს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 2 აგვისტოსთვის



**ვერძი** – ნუ იაქტიურებთ, არ აჩქარდეთ. წინააღმდეგობრივი, პოზიტიური დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. **კურო** – პირად ცხოვრებაში ბედი გწყალობთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. ზედმეტ ხარჯებს მოერიდეთ. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ქრონიკული დაავადებები მწვავდება. შეარჩიეთ ჯანსაღი საკვები. **კირჩხიბი** – სწორი გადაწყვეტილების მისაღებად გონიერი ადამიანის რჩევებს ენდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ლომი** – ყოფითი პრობლემების მოგვარება დაუყოვნებლივ დაიწყეთ. ახლობლებთან მცირე კონფლიქტი გელით. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. მოსალოდნელია კარგი ახალი ამბავი. შემოსავალი გეზრდებათ. **სასწორი** – შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები იოლად ნურავის მიენდობით. მოტყუების ალბათობა დიდია. ახალი საქმის დასაწყებად იღბლიანი დღეა. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში ფინანსური პრობლემები შეგექმნებათ. აქცენტი მთავარ საქმეზე გადაიტანეთ. **მშვილდოსანი** – აქტიური დასვენება გჭირდებათ. კომერციულ სფეროში წარმატება გელით. **თხის რქა** – მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. ახლობელი სასიამოვნო საჩუქარს მოგიძღვნით. **მერწყული** – საქმიან პარტნიორთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ნაყოფიერი დღეა. საღამოს მსუბუქი დეპრესია შემოგიტევთ. **თევზები** – დაძაბულობა მალე მოგეხსნებათ. პოზიტიური ცვლილებების პერიოდია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 2. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 3. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 5. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 7. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 13. ალუმინის შემცველი მადანი; 15. უცხო მხრიდან შემოტანილი მცენარე ან შემოყვანილი ცხოველი; 16. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 18. ქუთაისთან დამეგობრებული საფრანგეთის ქალაქი.

**თარაზულად**: 4. ქვანახშირის, მადნის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ნახევარვაგონი; 6. აზერბაიჯანელ ქალთა ცეკვა; 8. წინადადების ერთ-ერთი მთავარი წევრი გრამატიკაში; 10. ნაციონალური პარკი-ნაკრძალი კენიაში; 11. სამხრეთ ამერიკის გვინეაში განთავსებული საფრანგეთის კოსმოდრომი; 12. ტერიტორიული ერთეული ირანში; 14. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 17. შავი ზღვის ძველი სახელწოდება; 19. ქიმიური ელემენტი, აირი; 20. ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი; 21. გერმანული ავტომობილი; 22. არენა ინგლისში, სადაც იმართება ძაღლების რბოლა; 23. ამერიკელი სეისმოლოგი, მიწისძვრის საზომი შკალის შემქმნელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კუბდარი; 2. ხოტი; 3. დუვრი; 4. პილონი; 6. ჩოქბჯენი; 9. კულონი; 13. პოპლიკა; 14. გაუტამა; 15. ჰენესი; 17. ურალი; 18. სკოტი; 20. არვე.

**თარაზულად:** 1. კახიანი; 5. აიაჩო; 7. ბულიმია; 8. ბოტდეკი; 10. ეპოქა; 11. რანჩო; 12. ბულონი; 16. ხამონი; 17. უელსი; 19. პერო; 21. დელისი; 22. ფლინტი; 23. დინარი; 24. საუზმე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფარაონი; 2. აპატრიდი; 3. წირქოლი; 5. სელადონი; 7. დიოგენი; 9. ტახომეტრი; 13. მორთული; 15. ლეჟავა; 16. ლოზანა; 18. ტროპი.

**თარაზულად:** 4. კავკასია; 6. დეპრესია; 8. მალალაშვილი; 10. ტუგრიკი; 11. ხალი; 12. ონიქსი; 14. ალუვი; 17. ჭერხო; 19. აჟური; 20. სამთავრო; 21. იგლუ; 22. მანჭკვალა; 23. სიმენსი.

# „საქართველოს მთავრობა „ამწნილებს“ „საქართველოს კანონს სახელმწიფო ენის შესახებ“



ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს მიმართავს და საქართველოს მთავრობას მისი ხელმძღვანელობით „საქართველოს კანონის სახელმწიფო ენის შესახებ“ „დამწნილებაში“ ადანაშაულებს:

– საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე კითხულობენ „ვეფხისტყაოსანს“;

ეს მშვენიერი თაოსნობაა, მაგრამ ერთი რამ მაკვირვებს:

ნუთუ ამ არხზე ვინმეს და, უპირველეს ყოვლისა, ამ მაუწყებლის თავკაცს, ცნობილ ფილოლოგს, ვასილ მაღლაფერიძეს სხვებზე უკეთ არ უნდა მოეხსენებოდეს, რომ სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ გასწვრივ დაწერილი 850 რუსთველის საიუბილეო თარიღია და არა მისი პოემისა, რომელიც, რა ასაკში დაწერა, ჯერჯერობით არავინ იცის?!

მაგას რა მიხვედრა უნდაო, იტყვის, ალბათ, მავანი.

უნდა!

26 მაისს საქართველოს სულთანმა, ადრე რომ პრემიერი იყო, რიხიანად განაცხადა, დღეს, გარდა „საქართველოს დამოუკიდებლობის დღისა“, კიდევ, „ვეფხისტყაოსნის“ 850 წლისთავს ვზეიმობთო, ანუ მოგვატყუა თავისი უმეცრებით, ნაცვლად იმისა, რომ „რუსთველის დაბადების 850-ე წლისთავი“ ეთქვა.

ახლა კი დავრწმუნდი, რომ საქართველოს სულთანი შეცდომაში ვასილ მაღლაფერიძისადმი რწმუნებულ უწყებას, ანუ ე.წ. „საზმაუს“ შეუყვანია.

ხო, მართლა, კინაღამ სულ დამავიწყდა:

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო საქართველოს სულთანო (რესპ.პრემიერო!!!)!!!

ერთი კვირის წინ შესრულდა 2 წელი მას აქეთ, რაც საქართველოს მთავრობა თქვენი ხელმძღვანელობით „ამწნილებს“ „საქართველოს კანონს სახელმწიფო ენის შესახებ“.

აბა, თქვენ იცით! ბატონო გიორგი!!!

არამც და არამც იხტიბარი არ გაიტეხოთ და არ შეასრულოთ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომლის რამდენსამე მუხლს უკვე მესამე წელია, წარბშეუხრელად არღვევთ!!!

პ.ს. დააკვირდით ამ ფოტოს და იქნებ ამიხსნათ, რუსთაველის 1 (თბილისში) ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზეა?

# ია შუღლიაშვილი საუკეთესო მსახიობად დაასახელეს



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ია შუღლიაშვილი საუკეთესო მსახიობ ქალად დაასახელეს. ევრაზიის საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმში „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ შესრულებული მთავარი როლისთვის ქართველი მსახიობი რჩეულად მიიჩნიეს.

კინოფესტივალი ყოველწლიურად ყაზახეთის ქალაქ ალმათში იმართება, ხოლო წელს იგი ქალაქ ასტანაში ჩატარდა.

სულ რამდენიმე დღის წინ ფილმის სამსახიობო ანსამბლს ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალზე პრიზი საუკეთესო სამსახიობო შესრულებისათვის გადაეცა. პრიზი საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრისთვის კი „ჩემი ბედნიერი ოჯახის“ რეჟისორებმა ნანა ექვთიმიშვილმა და სიმონ გროსმა მიიღეს. „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზიორია.

ია შუღლიაშვილი, მერაბ ნინიძე, ბერტა ხაფავა, ცისია ქუმსიშვილი, გიორგი ტაბიძე, გიორგი ხურცილავა, გოვენ ჭეიშვილი და დიმიტრი ორაგველიძე – ესენი ის ქართველი მსახიობები არიან, რომლებსაც მაყურებელი მალე ქართულ ეკრანებზეც იხილავს.

28 სექტემბრიდან ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმ „ჩემი ბედნიერი ოჯახის“ ნახვას მაყურებელი კინოთეატრებში შეძლებს.

# სამცხე-ჯავახეთში მდებარე მესხური სახლი ნადგურდება

საქართველოში რომ უამრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს გადაუდებელი რესტავრაცია ესაჭიროება, ამაზე არავინ დავობს.

ირაკლი ორაგველიძე ინტერნეტში სოფელ საროში მდებარე XVI საუკუნის მესხური სახლის ფოტოებს ავრცელებს და მისი მუზეუმის გაკეთების აუცილებლობაზე საუბრობს:

– სახლი სანახევროდაა მიწაშია ჩაფლული, გააჩნია სრულფასოვანი კედლები და ბუხრები, საძინებლები და ბოსელი. სახურავი აწყობილია კარგად დამუშავებული მორებით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ძველად ეს მხარე გაუვალი ტყეებით იყო დაფარული, რომლებიც უმოწყალოდ გაიჩეხა XIX საუკუნეში.

ერთ-ერთ სურათზე ჩანს რიტუალური დედაბოძი გამოსახული ბორჯღალით. თურქობის დროს კუთხე ასე ინარჩუნებდა ეროვნულ იდენტურობას.

მთლიანობაში სახლი შედგება 3 ოთახისგან.

შესაძლებელია და აუცილებელია მუზეუმის გაკეთებაც. სახლი აშკარად საჭიროებს ხელის შევლებას.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# რობერტ სტურუა 79 წლისაა



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი რობერტ სტურუა 79 წლისაა. წლევანდელ დაბადების დღეზე იუბილარმა რეჟისორმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, წელს წინსწრებით აღნიშნავს 80 წლის იუბილეს და, თუკი მომავალ წელსაც ცოცხალი იქნა, მაშინ რეალურ 80 წლის იუბილეს იზეიმებს.

მაესტროს დაბადების დღეს მთელი დღის განმავლობაში ულოცავდნენ მეგობრები, კოლეგები, ოჯახის წევრები, რუსთაველის თეატრის მსახიობები და რიგითი მაყურებლები.

რობერტ სტურუა ათეული წლებია რუსთაველის თეატრში მოღვაწეობს. მის მიერ დადგმული სპექტაკლები არა მარტო საქართველოში, უცხოეთშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

„კავკასიური ცარცის წრე“, „მეფე ლირი“, „რიჩარდ მესამე“, „ყვარყვარე“, „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“ – ეს იმ სპექტაკლების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც რეჟისორმა სხვადასხვა თეატრის სცენაზე განახორციელა.

რობერტ სტურუას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია რამაზ ჩხიკვაძესთან თანამშრომლობას. მათმა ტანდემმა ქართული თეატრი სულ სხვა საფეხურზე აიყვანა.

ბოლო პერიოდში მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია „მარია კალასი – გაკვეთილი“, „ნადირობის სეზონი“, რომლებმაც მაყურებელში დიდი მოწონება დაიმსახურა.

რეჟისორი კულტურის ყოფილმა მინისტრმა ნიკა რურუამ რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადააყენა. სტურუა სამუშაოდ რუსეთში წავიდა და ალექსანდრე კალიაგინის თეატრ „ეტ ცეტერაში“ დაიწყო მუშაობა. ამ ამბავს ხელოვანთა პროტესტი მოჰყვა და რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე აღადგინეს.

სექტემბერში იუბილარ მსახიობს დიდი გამოცდა ელოდება – თეატრებში ახალი სამხატვრო ხელმძღვანელები უნდა დაინიშნონ. როგორც რობერტ სტურუა აცხადებს, დარჩება თუ არა ამ თანამდებობაზე, მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

# „აღიარეთ დამპყრობლის არსებობა და ეცადეთ, იყოთ სამართლიანები!“

ახალგაზრდა მომღერალი სოფი ვილი, რომელიც უცხოეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს, საქართველოში რუსი ტურისტების მომრავლებასა და რუსების მიერ ჩვენს ქვეყანაში ტურისტული ბიზნესის აწყობას აპროტესტებს.




სოფი ინსტაგრამიდან ფოტოს ავრცელებს, რომლის ქვეშაც რუსები წერენ, როგორ ააწყვეს ბიზნესი საქართველოში.

**სოფი ვილი:**

– ამ ფოტოს ქვეშ ინსტაგრამში ნახავთ ნიღაბმოხსნილი რუსების კომენტარებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში და ტურისტული ბიზნესი ააწყვეს. ყოველგვარი გადასახადებისა და სირთულეების გარეშე! უბრალოდ, ჩამოვიდნენ და გრძნობენ თავს საკუთარ მიწაზე, ქართველ ხალხს კი არარაობად თვლიან!

რეაგირება უნდა მოხდეს დღეს და ახლა!!!! ძალიან ბევრი მეგობარი მყავს რუსი, მაგრამ არცერთი მათგანი არ ემხრობა და არ აღიარებს პუტინსა და მის დიქტატურას!

დავადგათ საშველი იმ პეტიციას, რომელსაც ხელი მოვაწერეთ! საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას რუსეთის მოქალაქემ თუ არ ცნო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ვერ გადმოკვეთს საზღვარს! წავიდეს ნიცაში, მონაკოში, ალპებში, ტაიგაში, კატმანდუში! აქ ნუ ჩამოვლენ და ნუ დაგვამცირებენ! ხოლო მხდალ „გრუზინებს“, ძალით ქართველებს, რომლებიც ელაქუცებიან ასეთ ხალხს და რუსულ ენაზე გადაიყვანეს ყველაფერი, ლესელიძის ქუჩიდან დაწყებული, ყაზბეგით დამთავრებული, მივმართავ დიდი თხოვნით: შეეშვით მტრის უკანალის ლოკვას! ეგ ფული არც თქვენ და არც თქვენს შვილებს არ შეგერგებათ! საბოლოოდ დარჩებით ქვეყნისა და მიწის გარეშე! აღიარეთ სიმართლე! აღიარეთ დამპყრობლის არსებობა და ეცადეთ, იყოთ სამართლიანები!

ამოვიღოთ ხმა დღეს! ახლა! სასწრაფოდ!

# გიორგი ონიანი 12 წლის პიანისტისთვის დახმარებას ითხოვს

საოპერო მომღერალი გიორგი ონიანი ინტერნეტში 12 წლის პიანისტის გიორგი წიკლაურის ვიდეოჩანაწერს ავრცელებს და დახმარებას ითხოვს:

– ეს პატარა პიანისტი არის 12 წლის გიორგი წიკლაური, დუშეთის სამუსიკო სკოლის მოსწავლე, უნიჭიერესი და დიდი ტალანტის მქონე.

უკვე მოასწრო საერთაშორისო კონკურსზე პრიზები და აღიარება... გიორგის კიდევ აქვს მოწვევები უცხოეთიდან, რათა კიდევ ერთხელ ასახელოს საქართველო.

ვთხოვ, ვისაც შეუძლია, დააფინანსოს და სპონსორობა გაუწიოს ამ უაღრესად ნიჭიერ ბავშვს!

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნოდარ ჩაჩხიანის გახსენება



ჩვენს უერთგულეს მეგობარს, დიდებულ პიროვნებასა და პროფესიონალ მომღერალ ნოდარ ჩაჩხიანს 2 აგვისტოს 77 წელი შეუსრულდებოდა.

ის შარშან, 2016 წელს, უდროოდ გარდაიცვალა. ნოდარ ჩაჩხიანი, ჯერ კიდევ კულტსაგანმანათლებლო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, საკონცერტო ჯგუფთან ერთად მოსკოვში წაიყვანეს და იქიდან საპატიო მაღალი ჯილდოთი დაბრუნდა.

შემდეგ მისმა პედაგოგმა, ცნობილმა ლოტბარმა ანზორ კავსაძემ 1968 წელს ახლადშექმნილ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მიიწვია.

1974 წელს ანსამბლის სამთვიანი გასტროლების დროს ამერიკაში მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა 25 სიმღერასთან ერთად ქართული სიმღერა „ჩაკრულო“ გაშვებულ იქნა კოსმოსში, რომელიც დღესაც სასიამოვნოდ გაისმის გალაქტიკურ სივრცეში.

ბატონი ნოდარი ხშირად ამბობდა: მე ბედნიერი კაცი ვარ, რომ მონაწილეობა მივიღე ამ უნიკალური სიმღერის შესრულებასა და ჩაწერაშიო.

იგი 30 წელი წარმატებით მოღვაწეობდა ცნობილ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „სინათლეში“ – ყოფილ ტტუ-ში.

ერთ-ერთი საშეფო კონცერტის დროს ასოციაცია „კათარზისში“ მას სთხოვეს, შეექმნა ხანდაზმულთა სიმღერის ჯგუფი.

2005 წელს ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი, სადაც სოლოსიმღერებს, გუნდის ლოტბარობასა და ცეკვა „ქართულს“ თვითონ ნოდარ ჩაჩხიანი წარმატებით უთავსებდა.

ეს გუნდი დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს.

ნოდარ ჩაჩხიანი დაჯილდოებული იყო მრავალი მაღალი ხარისხის დიპლომითა და პრემიით.

ნათელში იყოს მისი ლამაზი სული, რომელიც სამარადჟამოდ დარჩა კოსმოსში მომღერალ-მგალობლად!

*უახლოესი მეგობრების სახელით, ვლადიმერ (ლერი) ზანგურაშვილი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

## ოთხშაბათი 2 აგვისტო

**06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**წინ წარმატებისკენ**" **10.10, 02.45** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.10, 03.45** დღის მხ/ფ "**ფანფანტიტა**" (ჯ.ლოლობრიჯიდა) **15.00, 05.20** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** მხ/ფ "**უამრავი საიდუმლო**" (რ.რედფორდი) **01.00** მხ/ფ "**უცხო ჩვენს შორის**" (მ.გრიფიტი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**08.00** სერ. "**ელიფი**" **09.20** სერ. "**პატარძალი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** სერ. "**ღირსების სახელით**" **3** სერ. **14.40** სერ. "**ელიფი**" **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.30** სერ. "**ვიკინგები 3**" **3** სერ. **23.30** მხ/ფ "**იმიტაციის თამაში**" **01.20** მხ/ფ "**ფორესტ გამპი**" **03.45** მხ/ფ "**სამოთხის პროექტი**" **05.20** მხ/ფ "**მარტივი ჭეშმარიტება**" **06.40** მხ/ფ "**ლუმის ფარგოს ძარცვა**"

**05.30, 18.45** სერ. "**კაცი**" **06.30, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.30** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** სერ. "**ვარსკვლავის დაბადება**" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** მხ/ფ "**მემკვიდრეობა**" სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**"

**08.00** ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. "**მონკი-2**" **11.00** სერ. "**მონკი 3**" **1** სერ. **12.00, 21.00** სერ. "**კრიმინალური რომანი**" **1-2** სერ. **13.00** მხ/ფ "**ამბოხენ**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია 8**" **17.00** სერ. "**ინტერესის ობიექტი 4**" **19.00** სერ. "**გრეის ანატომია 12**" **22.30** მხ/ფ "**ვალკირია**" **00.45** მხ/ფ "**მატრიცა**" **03.15** მხ/ფ "**მატრიცა: გადატვირთვა**" **05.45** მხ/ფ "**მატრიცა: რევოლუცია**"

**08.00** ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.30** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30** ახალი ამბები **11.30** სერ. "**უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები**" ჯეიმს კუკი I ნაწ. **12.00** მოდი გავიყაროთ **12.55** სერ. "**პირადი საქმე**" **14.30** მე რომ ვიყო **15.00** სერ. "**ბანდოლერა**" **16.05** სერ. "**ფოილის ომი**" **18.00** სერ. "**ზიანი**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 02.20** პრიორიტეტი **21.30** ინტერვიუ ვანიჩკასთან **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **0.00** მხ/ფ "**ტყუილი და ილუზია**" **1.30** მოდი გავიყაროთ **03.20** სერ. "**რაუ**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი "მეუფე ანანია-საქართველოს პატრიარქის შესახებ" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** დ/ფ "საქართველოსი ილია II" **10.40** დ/ფ "ველური ბუნება"-ზღვის თვალები **11.10** მიწათმოქმედი "დამწყები მეურნე დმანისში" **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "ქვილთი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფიესპანეთი" **15.50** კონცერტი "ავემარია" **16.50** აქტუალური თემა "აღსარებისა და ზიარების საიდუმლო" **17.10** "ერთსულოვანი ოჯახი"-ჯიმშელეიშვილები **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.15** დ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" **19.35** მხ/ფ "**რაც გინახავს ვეღარ ნახავ**" **20.40** ძილი ნებისა "ლომი და მელია" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ჩვენი ფონდი "ილიაობა 1987 წ." **21.30** ეპოქის სახელები "ავტოკეფალისტები" **22.25** ქართული ალბომი "გულიკო ჩაფიძე წინაპრებზე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ივერიის ეკლესია "ნიქოზის სამწყსო" **00.30** დ/ფ "ფიქრები წარსულსა და მომავალზე-ილია II" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 აგვისტოსთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3956 |
| ევრო | 2.8103 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1416 |
| 100 რუსული რუბლი | 3.9825 |

## ამინდის პროგნოზი 2 აგვისტოსთვის





## 1 აგვისტოდან




ქართული დეტექტივი
მე-15 ტომი
მაია ბურჭულაძე
უფასო ბილეთი წარსულში
ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 20 ივლისიდან

შიო გვეტაძე
მონანიება
ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ქართველი მხატვარი მსოფლიოში განთქმულ კოლექციაში მოხვდა

ახალგაზრდა ქართველი მხატვარი ანა ეძგვერაძე პირველი ქართველი მხატვარია, რომელიც მსოფლიოში განთქმულ კოლექციაში მოხვდა. ანა ცნობილი ქართველი მხატვრის გია ეძგვერაძის შვილია.



ინფორმაცია ანას წარმატების შესახებ გია ეძგვერაძემ გაავრცელა:

– ანნას ვირტუალური რეალობა ნამუშევარი ანიტა ზაბლუდოვიჩმა შეიძინა, ცნობილმა ლონდონელმა კოლექციონერმა. აი, ასეთია მომავალი, რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი შვილი ვირტუალურ რეალობაზე იმუშავებდა...

პირველი ქართველი მხატვარია, რომელიც ვირტუალური რეალობის ნამუშევრით მსოფლიოში განთქმულ კოლექციაში მოხვდა...

იყურეთ წინ და წინ აყურებინეთ თქვენს შვილებს. შეაქციეთ ზურგი: ვასაძეებს, კორკოტებს, სიხარულიძეებს და ყველაფერს, რაც სუფრასა და ტყლაპს ვერ სცილდება! მოიგეთ მომავალი თქვენი შვილებისთვის.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ნეიმარი ბრაზილიაში გაემგზავრება და იქ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს

ბარსელონის ბრაზილიელი ვარსკვლავი ნეიმარი ოთხშაბათს ბრაზილიაში ჩავა და რამდენიმე დღეს სამშობლოში გაატარებს. სავარაუდოდ, სწორედ იქ მიიღებს ნეიმარი საბოლოო გადაწყვეტილებას, თუ სად გააგრძელოს თავისი კარიერა, პსჟ-ში თუ ბარსელონაში.



ფრანგული პსჟ მზად არის, ნეიმარის ტრანსფერში 222 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ ბრაზილიელს ჯერ საბოლოო თანხმობა არ მიუცია. არ არის გამორიცხული, ნეიმარი ბარსელონაში დარჩეს და პსჟ-ს იმედებს ცივი წყალი გადაასხას.

ნეიმარი ბარსელონაში 2013 წლიდან თამაშობს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*



## იუმორი

კაცი ბავშვს ეკითხება:

– ღამით გორგოლაჭებით სრიალის არ გეშინია? სიბნელეში ხომ ასფალტზე ორმოები არ ჩანს?

– არ მეშინია.

– რატომ?

– ასფალტზე ორმოები საერთოდ არ ჩანს.

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

– მაპატიე, მაგრამ სექსი გრძნობების გარეშე არ შემიძლია.

– და შეცოდებაზე რას იტყვი?

●●●

მეზობელმა ქალმა ბავშვს თავში წამოარტყა. გააფთრებული ბავშვის დედა მეზობელს მიეჭრა და მისი საქციელის განმარტება მოსთხოვა:

– რატომ სცემე ჩემს შვილს?!

– უზრდელურად მომექცა: მსუქანი ძროხა მიწოდა.

– და, შენი აზრით, თუ სცემ, გახდები?

●●●

დედა შვილს ეუბნება:

– შვილო, გიგისთან თამაშს გიკრძალავ, ის ცუდი ბიჭია!

– და მე კარგი ვარ?

– რა თქმა უნდა, შვილო, შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ!

– მაშინ გიგიმ ჩემთან რომ ითამაშოს, შეიძლება?

●●●

სამი მეგობარი ზის და სვამს. ერთი ეუბნება მეგობრებს:

– მე ჩვენს კატას პენოპლასტს ვეძახი.

– რატომ?

– რამდენჯერაც წყალში გადავაგდე, იმდენჯერ ამოტივტივდა და ნაპირზე გამოვიდა.

– მე კი ჩემსას ბუმერანგი დავარქვი – სადაც არ წავიყვანე, მაინც სახლში დაბრუნდა.

– მე კი ჩვენს კატას ჯორდანო ბრუნოს ვეძახი.

– რა სადისტი ხარ!

– არა, ვერ გამიგეთ, უბრალოდ, ვარსკვლავების ყურება უყვარს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომ შექმნა ღმერთმა მამაკაცი ქალზე უფრო ადრე?

– რამდენიმე სიტყვის თქმა მაინც რომ მოესწრო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 13 ივლისიდან




ლაშა იმედაშვილი
სამი მკვლელობა ძველ თბილისში
პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი
ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## დიეგო კოსტა შესაძლოა მილანში ვიხილოთ



ჩელსის ფორვარდი დიეგო კოსტა ახალი გუნდის ძიებაშია, თუმცა ჯერჯერობით მან ვერ მოახერხა თავისთვის სასურველი კლუბის შერჩევა. კოსტა ჩელსის მთავარი მწვრთნელის ანტონიო კონტეს გეგმებში არ შედის, ამიტომ ის ჩელსის აუცილებლად დატოვებს.

დიეგოს მიმართ ინტერესს იჩენს იტალიური კლუბი მილანი, თუმცა მილანელებს ჩელსისთვის კონკრეტული წინადადებით ჯერჯერობით არ მიუმართავთ.

მილანი ზაფხულში ძალიან გაძლიერდა და, კოსტას შეძენის შემთხვევაში, მისი შეტევა უფრო საშიში გახდება მეტოქეებისთვის.

თვითონ კოსტას ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.



## იურგენ კლოპს კოუტინიოს ლივერპულიდან გაშვება არ სურს



ბარსელონა სერიოზულად არის დაინტერესებული, რომ ლივერპულის ბრაზილიელი ფეხბურთელი კოუტინიო იყიდოს. კატალონიელები მზად არიან, ამ ტრანსფერში 100 მილიონი ევროც კი გადაიხადონ, მაგრამ ლივერპული კოუტინიოს გაშვებას არ აპირებს.

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ კოუტინიო არ იყიდება და ის მომავალ სეზონშიც ლივერპულის ფეხბურთელი იქნება.

კლოპის აზრით, კოუტინიო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და მისი წასვლით ლივერპული ძალიან იზარალებს.

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. სამაგიეროს გადახდა; 2. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 3. იტალიური ავტომობილი; 4. ვირგილიუსის ეპიკური პოემა; 6. ბაქტერიების მშთანთქმელი უჯრედი ცოცხალ ორგანიზმში; 9. ბაყაყის ძველი ქართული სახელწოდება; 13. ბასრწვერიანი ძველებური ქართული სატყორცნი საბრძოლო იარაღი; 14. კახეთში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ფრანგული ჯიში; 15. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 17. ტყის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 18. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 20. აბრეშუმის ჭია.

**თარაზულად**: 1. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 5. მემკვიდრეობით საგვარეულო ტიტული დასავლეთ ევროპაში; 7. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 8. ჰაერის გაუხშოებული მდგომარეობა ჭურჭელში; 10. სამეჯლისო ცეკვა; 11. უნგრული ღვინო; 12. ჩვილი ბავშვის საწოლი; 16. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი, ცეცხლგამძლე თიხა; 17. ბრიტანული არაყი; 19. თანდაყოლილი ფერადი გამონაზარდი კანზე; 21. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 22. ადენის ყურეში მდებარე აფრიკის სახელმწიფო; 23. ინდის ხურმა; 24. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*